# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 23 მაისი 2003 №93 (1864) | ფასი 50 თეთრი

# დინამო თითქმის

## აკაკი ჩხაიძემ იყიდა: ლოკომოტივმა გაყიდა



ივო შუშკაი ჩემპიონობისთვის გაემზადა

საქართველოს საამსეზონო ჩემპიონატი, თუ გახსოვთ, სკანდალით დაიწყო და სკანდალითვე სრულდება.

ზაფხულის სკანდალს უფრო გლობალური სახე ჰქონდა: მაშინ ერთბაშად ოთხმა გუნდმა — „მეტალურგმა", „მერანმა", „გორდამ" და „მილანმა" ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადახდა დააგვიანა. ზოგმა ეს ამბავი უფულობით ახსნა, ზოგმაც პრინციპული მოსაზრებით, თუმც ფაქტი ფაქტად დარჩა — ჩემპიონატს ჩაშლა ან გუნდებნაკლულად ჩატარება დაემუქრა.

ახლანდელი სკანდალი კი მხოლოდ ერთ კონკრეტულ გუნდს, თბილისის „ლოკომოტივს" ეხება. გუშინ ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის შემდეგ რკინიგზელთა პრეზიდენტმა აკაკი ჩხაიძემ თავისი ფეხბურთელები „დინამოსთვის" თამაშის განზრახ დათმობაში დაადანაშაულა. ისე, საქართველოს ჩემპიონატის იმდენ შეხვედრას ასვლია გარიგებულის სუნი, „ლოკომოტივის" ეს კერძო შემთხვევაც ქართული ფეხბურთის გლობალურ ჭირად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

გუშინდელმა, ბოლოსწინა ტურმა ჩემპიონობისთვის მებრძოლი ოთხეული ასე დააწყვილა: „ლოკომოტივი" — „დინამო" და „ვიტ ჯორჯია" — „ტორპედო". ვაკის პარკში პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, „შევარდენზე" კი ქუთაისელები იგებდნენ. მატჩები ასეც რომ დასრულებულიყო, ჩემპიონობის უმთავრეს პრეტენდენტად „დინამოს" მაგიერ „ტორპედო" იქცეოდა და ჩხაიძის თქმით, სწორედ შესვენებისას მოხდა ფეხბურთელებს შორის გარიგება, რაც საბოლოოდ „დინამოს" გამარჯვებით დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ ეს მეორე შემთხვევაა, აკაკი ჩხაიძე თავის გუნდს თამაშის ჩაწყობაში რომ ადანაშაულებს. პირველად ეს შარშან ზაფხულს, უეფას თასზე „ლოკომოტივის" „კოპენჰაგენისგან" 1:4 გვემის შემდეგ იყო. მაშინ პრეზიდენტს თავისიანების ტოტალიზატორში თამაშზე ჰქონდა ეჭვი.

მაშინ თამაშის გაყიდვის საქმე თავად ჩხაიძემ მიაჩუმათა და ახლა რა იქნება, ეგებ, დღესვე შევიტყოთ.

და სანამ ამას შევიტყობდეთ, „დინამოსთვის" ფაქტობრივად შეგვიძლია კიდეც ჩემპიონობის მილოცვა, რაკი საეჭვოა, ბოლო ტურში შინ „სიონს" ვერ მოუგოს. თან დახეთ, რა ხდება: დიდი შანსია, თავად ბოლნისელებმა ისურვონ „დინამოსთან" დამარცხება. ოღონდ აქ საქმე ჩაწყობასთან კი არა, პარადოქსთან გვაქვს.

ორშაბათს, საქართველოს თასის ფინალია, „დინამო" „სიონის" წინააღმდეგ. თუ თასი „დინამომ" მოიგო, „სიონს", როგორც დამარცხებულ ფინალისტს, უეფას თასზე გასვლის ერთადერთი შანსი რჩება — „დინამო" ჩემპიონი უნდა გახდეს და ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს. ჰოდა, რა გამოდის: თუ თასი „დინამოს" დარჩა, ბოლო ტურში „სიონს" მხოლოდ საკუთარი დამარცხება აძლევს ხელს.



რატი ალექსიძემ ფეხით ვერა და თავით კი გაიტანა



მამუკა აბრამიძემ „დინამოს" შეტევა გამართა

# დინამომ და ბასკომ გაასწორეს. ანგარიში ბათუმში ხმაური იქნება

საქართველოს 12 ჩემპიონატი

მეთორმეტე ეროვნულის ფინალი ძალას იკრებს, მაყურებლებს კი ვერა. ჩემპიონის გამოსავლენი სერიის ვერც მეორე თამაშმა შეავსო სპორტის სასახლე თუნდ მეოთხედით. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ხელს ნაკლებად უშლის „დინამოს" და „ბასკოს", ერთმანეთს ომი გაუჩაღონ და ყოველი თამაში ცალკე ბრძოლად აქციონ. თუ ბრძოლა იქნა, მაყურებელიც შეავსებს ტრიბუნებს — უგემურ სანახაობას კი ხალხი არ ეტანება. ვინც თამაშზე მივედით, საშუალო ხარისხის ქართული კალათბურთი დაგვიხვდა საკმარისი ინტრიგით და უკმარისი დაძაბულობით.

მეორე თამაშის ბედი პირველის დარად უკვე პირველ ნახევარში გადაწყდა. „დინამომ" გუშინ ისევე იოლად მოუგო „ბასკოს", რა სიმსუბუქითაც გუშინწინ წააგო. დრაჟენ ბრაიკოვიჩისგან ახლა უკვე საფუძვლიანად დამოძღვრილმა თბილისელებმა პირველ ოც წუთში დაახევინეს ბათუმელებს და 107:87 გამარჯვებით სერიაში წონასწორობა აღადგინეს. ახლა „ბასკოს" სვლაა, მომდევნო ორ თამაშს ის მასპინძლობს 26 და 27 მაისს. აქ საკალათბურთო აჟიოტაჟი მოვისაკლისეთ და იქ, ბათუმში, ხმაურით გაჟღენთილ დარბაზში ფინალი იქნებ უფრო გემრიალად შესაგრძნობი იქნეს.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



# ბლატერი შევარდნაძით დაიწყებს

**დღეს** თბილისს ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი, ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი ვლადკო მარკოვიჩი და ფიფას რამდენიმე დიდმოხელე ესტუმრება. ფეხბურთის პირველი კაცი საქართველოში სომხეთიდან გამოფრინდება და აქ ერთ დღეს დაჰყოფს.

პრეზიდენტის ვიზიტი ეროვნული გუნდის საწვრთნელი ბაზის გახსნას უკავშირდება. ბაზას ბლატერი ხვალ დილით მოინახულებს და იქვე პრესკონფერენციას გამართავს.

დღეს ფიფას პრეზიდენტს ჩამოსვლისთანავე ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრა აქვს დაგეგმილი, მასპინძლებს კი პატივცემული სტუმრის მცხეთაში დაპატიჟება. ბლატერი სადილს ფედერაციის ალმასკომიდანაც მიიღებს და ხვალ საღამოს შვეიცარიაში გაემგზავრება.

**ძოზა ინასარიძე**

# ტრაგედია შავშვებში

ტრაგედია დატრიალდა გუშინწინ ღამით თბილისი-გორის ტრასაზე, სოფელ შავშვებთან. თბილისიდან მიმავალ „BMW“-ს ერგნეთის ბაზრობაზე დატვირთული „გაზ-31“ შეეჯახა და საშინელებაც მაშინ მოხდა — 6 ადამიანი ადგილზევე დაიღუპა, ყოფილი ფეხბურთელი გია ჯიშკარიანი კი კრიტიკულ მდგომარეობაში საავადმყოფოში მოათავსეს.

გია ჯიშკარიანი, რომელიც „BMW“-ს მართავდა, გუშინდელ „ბათუმი“ — „დილას“ მატჩის დირექტორად იყო დანიშნული და ახლო ნათესავთან და მეგობრებთან ერთად სწორედ ბათუმისკენ მიემგზავრებოდა...

წუხელ შევიტყვეთ, რომ გია ჯიშკარიანის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ის რეანიმაციული განყოფილებიდან პალატაში გადაუყვანიათ.

## ფინეთი

III ტური

ალიანსი 2:0 ინტერი
ჰაკა 2:0 კტპ
კუოპიო 0:2 ჰიკ
ლაჰტი 0:1 ტამპერე
მიუპა 0:0 ჰაამენლინა
ტურკუ 3:1 იარო

## ამხანაგური მატჩები

ნორვეგია 2:0 ფინეთი
ს. აფრიკა 1:2 ინგლისი

საქართველოს 14 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

# 9 ტური

## VII–XII ადგილები

# ბათუმის თავი და ბოლო

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

**გუშინ** გორის „დილამ“ ბათუმიდან კინაღამ სამი ქულ წაიღო, მაგრამ ბოლოს ერთით დაკმაყოფილდა და დიდად არც უნანია. ეს ქულა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა გორელთათვის — მათ გადათამაშებაც აღარ ემუქრებათ.

მატჩი უსწრაფესი, ერთგვარად კურიოზული გოლით დაიწყო, სულ რამდენიმე წამს გაევლო, სტუმრები მოედნის ცენტრის სიახლოვეს რომ დაჯარიმდნენ. დარჩიძემ ბურთი სწრაფად გაათამაშა და მცველებს დასხლეტილი ქაცარავა მეკარეს პირისპირ შეატოვა. ბურთის მიღებისას ბათუმელმა წაიფორხილა და ესეც საკმარისი აღმოჩნდა სოლოლაშვილი მოძრაობაზე რომ დაეჭირა.

სწრაფმა გოლმა „დილა“ ერთბაშად გამოაფხიზლა, მალე მან თამაში დაალაგა და მეტოქის საჯარიმოსაც გაუშინაურდა. მე-15 წუთიდან მოყოლებული, რამდენიმე მწვავე ეპიზოდიც შექმნეს სტუმრებმა. ჯერ ხუთი წუთის ინტერვალში ორჯერ გაისროლა შორიდან ახალაძემ. პირველად საჯარიმოს წინა ხაზიდან დარტყმული ოდნავ აუცდა, მეორედ კი უფრო შორიდან სცადა გატანა, მაგრამ შორეულ კუთხეში მიმავალ ბურთს ქვაჩახია ბოლო მომენტში თითის წვერებით შესწვდა.

რამდენიმე წუთში სტუმრებმა ანგარიშიც გაათანაბრეს. გოლამდე წუთით ადრე მუშკუდიანმა წინ გამოსულ ქვაჩახიას დარტყმა კი დაასწრო, მაგრამ თავზე გადაგდებული ბურთი ხარიხას გადაუცდა. და მაინც, მან მომდევნო შეტევაში იხეირა, როცა სულთანიშვილის ფლანგური პასი მიიღო და ბურთი ერთი შეხებით კარშიც გადაგზავნა.

სტუმართა თავკაცმა ზურაბ ხორგუაშვილმა თავისი შეგირდების მოწადინება რომ იგრძნო, გარისკა — შეტევა გააძლიერა და საყვარელიძე ბექა ჩიტაიათი შეცვალა. თუმც ამით დიდად ვერ იხეირა, რადგან ჩიტაიამ საკმაოდ აქტიურ მუშკუდიანს მხარი ჯეროვნად ვერ აუბა.

პირველი ტაიმის დასრულებამდე „ბათუმმა“ ხელახლა დაწინაურება კი სცადა, მაგრამ ფირცხალაიშვილის სახიფათო თავურის გარდა ვერაფერს გამორჩა.

მეორე ტაიმში „დილა“ მოედნის ცენტრში საკმაოდ ჯიგრიანად იბრძოდა და ხშირ შემთხვევაში პატარ-პატარა ჯარიმებით აბრკოლებდა მასპინძელთა იერიშებს. შიგადაშიგ კონტრშეტევებსაც ლამობდა და მართალია, გვიან, მაგრამ ამ ტაქტიკამ შედეგი მაინც გამოიღო.

83-ე წუთი იყო, გილაურმა კარგ კომბინაციას რომ დაუდო სათავე. მან მარჯვნივ ახალაძე მოძებნა, რომელმაც საჯარიმოში ისევ მუშკუდიანს გაუწია ასისტენტობა. გორელმა მოიერიშემ ბურთს თავი მოხდენილად დაჰკრა და „ბათუმი“ მარცხის წინაშე დააყენა.

ბევრს არ ეგონა, ასლან ბალაძის შეგირდები ქულას თუ იხსნიდნენ, მაგრამ მათ სოლოლაშვილი წაეხმარა. მსაჯის წამატებული მესამე წუთიც იწურებოდა, საკმაოდ შორი მანძილიდან შენგელიამ ჯარიმის პირდაპირ კარში დარტყმა რომ ისურვა. სოლოლაშვილს დაბალი დარტყმულის აღება წესით არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მან ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და პირდაპირ ცხვირწინ დაუვარდა. შეცვლაზე შესული ფურცხვანიძეც იქვე გაჩნდა და მშვიდად შეაგორა ბურთი კარში.

ბათუმი. 22 მაისი. 18 საათი. დინამო. 500 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 2:2 დილა

1:0 ქაცარავა (1), 1:1, 1:2 მუშკუდიანი (27, 83), 2:2 ფურცხვანიძე (90)

**ბათუმი:** ქვაჩახია, მახარაძე, გურეშიძე, გუშარაშვილი, დუმბაძე, ქაცარავა, თედორაძე (ფურცხვანიძე 84), ი. შენგელია, დარჩიძე, ფირცხალაიშვილი (რომანაძე 61), გ. მოდებაძე (ბეჟანიძე 74)
სათადარიგონი: ი. ბალაძე, ცინარიძე, იალამიძე, ცანავა
**მწვრთნელი:** ასლან ბალაძე

**დილა:** სოლოლაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, მ. სომხიშვილი, საყვარელიძე (ბ. ჩიტაია 32), სულთანიშვილი, გილაური, მორჩილაძე, ფეხუაშვილი, ახალაძე (მარლიშვილი 86), რაზმაძე, მუშკუდიანი
სათადარიგონი: თ. ილურიძე, ალ. ლაბაძე, სანიშვილი, ოლგესაშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**გაფრთხილება:** დუმბაძე (85)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. ხუციშვილი, მ. ჯუღელი (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა; **დირექტორი:** გ. სორდია

ჯარიმა: 21-24; კუთხური: 6-2; კარისკენ დარტყმა: 2-1; კარში დარტყმა: 4-3; თამაშგარე: 3-6

# გორდამ გადათამაშების ითამაშა

რუსთავი. 22 მაისი. 18 საათი. ფოლადი. 800 (ტევადობა 10 850)

## გორდა 1:0 მეტალურგი

1:0 ალადაშვილი (46)

**გორდა:** ჯანიაშვილი, კედელაშვილი, სილაგაძე, ბერიძე, არსოშვილი, ზ. ლაბაძე, ჩოხელი, ზგ. ლაბაძე, ადეიშვილი, ლ. ალადაშვილი, სოზაშვილი (ბ. ნოზაძე 31)
სათადარიგონი: პიპილაშვილი, მჭაიძე, პაპაშვილი, გაბრიჭიძე
**მწვრთნელი:** იასონ ალადაშვილი

**მეტალურგი:** სხულუხია, ნასრაძე, ნიქარიშვილი, ხარატიშვილი, კვანტრიშვილი, მანჯავიძე (კაპანაძე 56), შველიძე, მ. ბოგვერაძე (მიქაბერიძე 76), ჭუმბურიძე, მაღლაკელიძე, ნიშნიანიძე (მამუკაშვილი 62)
სათადარიგონი: ცქიტიშვილი, შველიძე, შავგულიძე
**მწვრთნელები:** მამუკა ნიქაბერიძე და გურამ მაზმიშვილი

**გაფრთხილება:** ნიშნიანიძე (18), კედელაშვილი (54)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ნ. რუხიშვილი (ქუთაისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **დირექტორი:** შ. კობალაძე

ჯარიმა: 16-21; კუთხური: 5-3; კარისკენ დარტყმა: 7-2; კარში დარტყმა: 15-1; თამაშგარე: 7-3

**კახა შალამბერიძე რუსთავიდან**

**ვინ გაყვება** ზესტაფონის „მეტალურგს“ პირველ ლიგაში, ჯერაც უცნობია. გუშინ ერთადერთი ის გაირკვა, რომ რუსთავის „გორდას“ გადათამაშებაში მოხვედრის შანსი გაეზარდა, თუმც ამას გვარიანი ნერვები კი შეალია.

მაჩანჩალა „მეტალურგმა“ მაგრად გააწვალა მასპინძლები. პირველი ტაიმის შემდეგ კი ბევრი სენსაციის მოძალებულ სუნზეც ალაპარაკდა.

„გორდას“ პირველ ნახევარში დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია. გოლის გატანა კი შეძლეს რუსთაველებმა, მაგრამ ისიც მათივე უთავობის გამო არ ჩაითვალა. 27-ე წუთზე ლაშა სილაგაძის თავურით დარტყმულ ბურთს, რომელიც ისედაც სტუმართა კარისკენ მიემართებოდა, აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში მყოფმა სოზაშვილმა ფეხი მიაშველა და... გოლი, ცხადია, გაუქმდა.

„გორდას“ მანამდე სახიფათო მომენტიც არ შეუქმნია. ტაიმის ბოლომდე კი ისევ ლაშა სილაგაძემ იმარჯვა, თუმც მისი რთული დარტყმული სხულუხიამ მოიგერია. რუსთაველთა ნერვებისხმომშლელი სტუმართა მეკარე გუშინ ყველაზე გამორჩეული იყო მოედანზე. სტატისტიკას თუ ჩახედავთ, შენიშნავთ, რომ „გორდამ“ 15-ჯერ დაარტყა „მეტალურგის“ კარში. თხუთმეტივე მეტად სახიფათო და ძნელად ასაღები იყო, მაგრამ სხულუხიამ თავი გაიგიჟა. ეს ვინ ყოფილაო, ხშირად გაიგონებდით „ფოლადზე“ შეკრებილი მაყურებლისგან.

ერთი სიტყვით, გუნდები უგოლო ფრით გავიდნენ შესვენებაზე. ასეთი შედეგი კი „გორდასთვის“ დამღუპველი იყო. რუსთაველებს მშველელად ისევ და ისევ ლაშა ალადაშვილი მოევლინათ, რომელიც ბოლო მატჩებია, მშობლიურ გუნდს მეტად საჭირო გოლებით ეხმარება. 46-ე წუთზე მის მიერ კარის მარცხენა კუთხეში ჩასმული თავური სხულუხიასთვის მიუწვდომელი გამოდგა.

ეს იყო და, „გორდა“ მეტოქის კარს მიეძალა. ბურთი კი ცოცხალი თავით არ შედიოდა იმერელთა კარში. უფულოდ და უპატრონოდ მიგდებული „მეტალურგიც“ უსაშველოდ დაიღალა. ფეხბურთელებს მოედანზე გადაადგილება უჭირდათ.

მერე „ფოლადმა“ „მილან“ — „მერანი-ოლიმპის“ ანგარიშიც შეიტყო და „გორდას“ მეტი რა უნდოდა. დაბეჩავებულ „მეტალურგსაც“ უფრო მეტად გაუჭირდა. სიმართლე რომ ვთქვათ, ცაზე ვარსკვლავები არც მასპინძლებს მოუწყვეტიათ, მაგრამ ამას უკვე არავინ დაეძებდა. მთავარი მოგება და წნორელების უკან ჩამოტოვება იყო. „გორდამ“ ეს მოახერხა.

ახლა ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა. თუ რუსთაველებმა სტუმრად „მერანი-ოლიმპი“ დაამარცხეს, „მილანს“ არაფერი ეშველება.

# იმედი გურთივითაა, ხან წაგართმევენ, ხან მოგცემენ

ძველი ანაგა. 22 მაისი. 18 საათი. ცენტრალური. 1 000 (ტევადობა 1 000)

## მილანი 0:0 მერანი-ოლიმპი

**მილანი:** მამალაძე, ლ. ბოქორიშვილი, ღამბაშიძე, აკობია, მეტონიძე, ბარამიძე, გ. ჩხაიძე (ეგაძე 83), ბაჯელიძე, ჯაფარიძე, ლუღუნაძე (გოდერძიშვილი 63), მედოევი
სათადარიგონი: გიორბელიძე, მურჯიკნელი, ხაჩიძე, ეცადეიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ბოქორიშვილი

**მერანი-ოლიმპი:** კ. ჯინჭარაძე, კომულარია (მოლაზონია 46), ხარებავა, ნინუა, ნადირაშვილი, გ.ნ. ჭელიძე, მესხი, კიკაჩეიშვილი (მიკუჩაძე 70), ხიდეშელი, ლოლაძე (კაზალიკაშვილი 65), ქანტურია
სათადარიგონი: ნაჭყებია, დავითაშვილი
**მწვრთნელი:** თემურ ლორთქიფანიძე

**გაფრთხილება:** აკობია (56)

**მსაჯები:** ა. ორდინაძე (ონი); ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ქობულეთი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე; **დირექტორი:** დ. გოგია

ჯარიმა: 10-28; კუთხური: 9-2; კარისკენ დარტყმა: 7-2; კარში დარტყმა: 7-2; თამაშგარე: 2-4

**პაატა კვანტალიანი ძველი ანაგიდან**

**წნორის „მილანმა“** პირველი ლიგა დაიახლოვა. ქიზიყელებმა შინაურ კედლებში ვერაფერი მოუხერხეს „მერანი-ოლიმპს“.

მინდა ყველამ იცოდეს, „მერანი-ოლიმპი“ არასდროს არ გაურიგდება მეტოქეს — განაცხადა თბილისური კლუბის პრეზიდენტმა ნიკა დოლიძემ. მისი სიტყვების დასტურად გუშინდელი ძველანაგური მატჩი გამოდგა. სიტყვამ მოიტანა და, ნიკა დოლიძე ისევ „მერანი-ოლიმპის“ პრეზიდენტის სავარძელს დაუბრუნდა. გუნდის მწვრთნელობა გუშინ თემურ ლორთქიფანიძემ გასწია.



ნიკა დოლიძე

სტუმრებმა ძირითადი შემადგენლობის მხოლოდ სამი ფეხბურთელი შეახვედრეს „მილანს“. დებიუტანტთაგან უთუოდ უნდა გამოვარჩიოთ 16 წლის რამაზ კიკაჩეიშვილი და 17 წლის თემურ ჭანტურია. ამ ორი ყმაწვილის საფეხბურთო მონაცემები თვალნათლივ გამოჩნდა ქიზიყურ სარბიელზე. კაფანდარა დებიუტანტები აშკარად აღემატებოდნენ დანარჩენებს სხარტი საფეხბურთო აზროვნებით და ტაქტიკური განსწავლულობით. ამ ორის და მიხეილ მესხის მცდელობით სტუმრებმა მეტოქეზე დიდხანსაც აგორეს ბურთი და საგოლე მომენტებიც უხვად შექმნეს, მაგრამ უმეტესწილად უმართლებდათ მასპინძლებს.

ქიზიყელთათვის მსაჯებსაც არ დაუწყვეტიათ გული, მაგრამ „მილანმა“ ეგრეც ვერ გამოჭედა საუმაღლესლიგო სამი ქულა და მომხდარიც საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. მედოევს და კომპანიას არაერთი საგოლე შანსი ჰქონდა, მაგრამ ახალგაზრდა კახა ჯინჭარაძემ მშრალად შეინახა კარი.

წნორელებს იმედად ნიკა დოლიძის სიტყვებილა დარჩათ, თუკი „მერანი-ოლიმპმა“ „გორდას“ დამარცხება შეძლო და „მილანმა“ სტუმრად „დილას“ მოუგო, ქიზიყელთა შანსიც ეს იქნება, სხვა შემთხვევაში კი წნორელთათვის ჰორიზონტზე პირველი ლიგა ჩანს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი-ოლიმპი | 9 | 4 | 3 | 2 | 15:4 | 27 |
| დილა | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 26 |
| ბათუმი | 9 | 4 | 3 | 2 | 8:5 | 25 |
| გორდა | 9 | 4 | 3 | 2 | 7:3 | 22 |
| მილანი | 9 | 3 | 4 | 2 | 6:4 | 20 |
| *მეტალურგი* | *9* | *0* | *0* | *9* | *0:25* | *10* |

## I–VI ადგილები

# ალმასილი ალმასიძის ელმასირი

## დინამო, ნაბიჯით იარ მეთერთმეტესკენ!




[illegible] ფოტო

თბილისი. 22 მაისი. 18 საათი. ლოკომოტივი. 3 000 (ტევადობა 25 600)

**ლოკომოტივი 0:1 დინამო**

0:1 ალექსიძე (67)

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ზ. ლაცაბიძე, სალუქვაძე, რ. ონიანი, კვარაცხელია (ძამსაშვილი 70), ჭიჭველაშვილი, სირაძე, რუსია, მ. ბურნაძე, ნანა (ძოძუაშვილი 43)
*სათადარიგონი:* ივარდავა; სალასარი, სოსელია, გოგინაშვილი, კაიდარაშვილი
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**დინამო:** ზოიძე, ბურდული (კარლოსი 60), ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე (სახვაძე 85), დარასელია, ახალაია (კანდელაკი 80), ალექსიძე
*სათადარიგონი:* გვარამაძე; ვაშაკიძე, ი. სამხარაძე, ჯაკობია
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**გაფრთხილება:** ხიზანეიშვილი (29), სირაძე (38), დარასელია 51)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ულაკაშვილი (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი; **დირექტორი:** გ. ძამუკაშვილი

**ჯარიმა:** 20-28; **კუთხური:** 2-6; **კარისკენ დარტყმა:** 6-5; **კარში დარტყმა:** 3-5; **თამაშგარე:** 1-2

**დავით თავართქილაძე**

**სიტყვის კაცი** გამოდგა რატი ალექსიძე — გუშინ თამამად თქვა, საკუთარ თავს უკვე ჩემპიონად ვთვლიო.

რატიმ ჩემპიონობის გემო კარგად იცის — ლონდონის „ჩელსიში" გადასვლამდე ქართული ოქრო „დინამოსთან" ერთად ოთხჯერ მოიგო.

ახლა კი ალექსიძემ ის გოლი შეაგდო, რითაც „დინამო" მეთერთმეტედ უნდა გაჩემპიონდეს. ბოლნისის „სიონი" შუშაკელთა შლაგბაუმად ვერ გამოდგება ბოლო ტურში — „ეროვნულიდან" ქვემოქართლელებს ქულაც კი არ წაუღიათ არასდროს და სასწაულის მოლოდინში ალბათ არც არავინაა.

ალექსიძემ თარით გაიტანა — ვიტალი დარასელიას ჩაწოდებულს ისე შესწვდა, რომ გიორგი ლომაია კარში მიმავალი ბურთისთვის ვერც კი გადახტა.

მაშ, „დინამო" ჩემპიონ! ადრე თქმულია, მაგრამ ეგრეა.

... მატჩი მძიმედ დაიწყო. „ლოკომოტივმა" ბურთის კონტროლი მოინდომა და წადილი აისრულა კიდეც. მასპინძელთა თითქმის ყველა კომბინაციას გიორგი ბალაშვილი იწყებდა დაცვის მარჯვენა ფლანგიდან. თავდასხმაში გამწესებულ ნანა ეშუანს დანარჩენი თანაგუნდელებიც უხვად ამარაგებდნენ გადაცემებით, მაგრამ განელს ბურთი სულ ბრძოლაში მისდიოდა და კარგადაც ჭიდაობდა დინამოელ მცველებთან.

ლუის ცაკარიასმა განსაკუთრებული დავალება მისცა „ლოკოს" ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშე დავით სირაძეს — ის ხან ფორვარდი იყო, ხან გამთამაშებელი, მაგრამ ერთი შავი სამუშაოც ევალებოდა — დინამოელთა მარჯვენაფლანგელ ლადო ბურდულის ამოკეტვა.

მოედნის სიღრმიდან უწევდა შეტევა მამუკა რუსიას, რომელიც ამას მარცხენა ფლანგიდან ეშურებოდა. ცაკარიასს მისი სისწრაფის ეიმედებოდა და ამიტომაც ანაცვალა სალასარსა თუ სოსელის.

მოკლედ, ასეთი ექსპერიმენტებით შეეცადა ცაკარიასი ფონს გასვლას და ნაღდად ვერ ვიტყვით, რომ ამიტომ წაიმტვრია კისერი — უბრალოდ, „დინამომ" ითამაშა მძლავრად.

თუმც პირველი ოცდაათი წუთი მაინც „ლოკომოტივის" იყო. რკინიგზელები ბურთს ოდნავ დიდ ხანს ფლობდნენ და რამდენიმე მწვავე იერიშიც მიიტანეს „დინამოს" კართან. ჯერ სირაძესთან ბრძოლაში ირაკლი ზოიძეს გაუვარდა ბურთი ხელიდან, მაგრამ დინამოელთა საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მერე ბურნაძემ და ბალაშვილმა კარგად გაითამაშეს კომბინაცია, ჩაწოდებულზე რუსიამ ყველას კი დაასწრო, თუმც დარტყმა გაუცუდდა. შემდეგ გივი კვარაცხელიამ გაუჭრა შორი გადაცემა რუსიას, მან ონიანს გადააწოდა ბურთი, კარში დარტყმა კი ჭიჭველაშვილს ერგო 15-16 მეტრიდან — ზოიძე კარიდან დროულად გამოვიდა, კუთხე შეამცირა და ბურთიც მოიგერია.

ტაიმის ბოლო თხუთმეტ წუთში კი მარწუხი „დინამომ" იქით გადაუჭირა მეტოქეს — „ლოკომოტივს" ბურთის შენარჩუნება ძალიან უჭირდა. კარგი შანსი მიეცა ლადო ახალაიას — მაღალ ბურთზე ბალაშვილი და ლაშა სალუქვაძე შეცდნენ, მაგრამ „დინამოს" ფორვარდმა იჩქარა, მოუმზადებლად დაარტყა.

მატჩის პირველ ნახევარში დაძაბული „დინამო" (შუშაკელები 20-ჯერ დაჯარიმდნენ) მეორე ტაიმში ლაღად, სწრაფად და შეტევაში აგრესიულად ათამაშდა. დინამოელებმა შტურმი თუ არა, შტურმისმაგვარი ნაღდად მოუწყვეს „ლოკომოტივს". რკინიგზელთა გუნდს იმანაც დარია ხელი, რომ ნანა დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

„დინამომ" კი თამაში გაშალა. მარცხნიდან დავით კვირკველია გააქტიურდა, მარჯვნიდან ლადო ბურდული საგრძნობლად მოუმატა ვიტალი დარასელიამაც, რომელმაც კუთხურიდან ორჯერ კარგად კი ჩაუბზრიალა ბურთი ლომაიას, მაგრამ „ლოკომოტივის" და ეროვნული ნაკრების მეკარე მაგრად იდგა.

რკინიგზელები ლომაიამ კიდევ ორჯერ იხსნა — ჯერ ალეკო ამისულაშვილის არცთუ ძლიერი, მაგრამ ახლოდან დარტყმული თავური გააქავა ხელებში, მერე კი კვირკველიას 15-16 მეტრიდან გასროლილი მაღალი ბურთი ბრწყინვალედ მოიგერია.

„დინამომ" ისე ჩააჯინა „ლოკომოტივი" დაცვაში, რომ, ცხადი იყო, გოლი მწიფდებოდა — რკინიგზელები სტუმართა იერიშებს ვერაფერს უპირისპირებდნენ.

ისიც ვთქვათ, რომ უშუალო კონკურენტებთან „დინამო" ასეთი შემტევი და ძლევამოსილი თამაშებით ნაკლებად გვანებივრებდა, მაგრამ გუშინდელ მეორე ტაიმში „დინამომ" მართლაც თავი გამოიდო.

ალექსიძის გოლის შემდეგ შუშაკელებს კიდევ უნდა გაეტანათ — ახალაიამ კვირკველიას პასით ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა თავური, მერე მეტოქის კართან მარტო მყოფმა ალექსიძემ ვერ მოათვინიერა სახვაძის ჩაწოდებული და დუბლის დიდებული შანსი გაანიავა.

„ლოკომოტივის" ერთი იერიშიც უნდა გამოვარჩიოთ — რუსიამ ჩააწოდა და მაღალი ბურთისთვის ზოიძემ და სირაძემ გაიწიეს — ლოკომოტიველი მეკარის ხელზე მაღლა აფრინდა, მაგრამ ცარიელი კარის ხარიხას დიდად გადააცილა ბურთი.

ივო შუშაკი და „დინამოს" მთელი სათადარიგო სკამი მატჩის ბოლო წუთებს ფეხზე დამდგარი ეგებებოდა. სერგო კვარაცხელიას საფინალო სასტვენის მერე „დინამომ" და მისმა მოულოდნელმა ფანებმა გამარჯვებისა დასცხეს.

პრესკონფერენციაზე *ლუის ცაკარიასი* არ გამოცხადდა და *ივო შუშაკი* მარტოკა შეეჭიდა მედიასთან საუბარს.

— კიდევ ერთი თამაში გველის და უნდა დავამტკიცოთ ის, რისთვისაც მთელი წელიწადი ვილტვოდით. მეც და ჩემი ფეხბურთელებიც ფსიქოლოგიურ ზეწოლას განვიცდიდით — მხოლოდ მოგება გვაძლევდა ხელს ჩემპიონობისთვის. თანაც ძნელია, ასეთ კარგ მეტოქეს ერთ თვეში ოთხჯერ ეთამაშო და ოთხივეჯერ მოუგო. უნდა ვთქვა ისიც, რომ წინა ტურის შემდეგ ჩვენ ერთი დღით მეტი დავისვენეთ და გარკვეული როლი ამ ფაქტორმაც შეასრულა. პირველ ტაიმში ცოტა ვნერვიულობდით, მაგრამ მეორეში ავთამაშდით და ბურთიც, ასე ვთქვათ, გავაგორეთ. სასიხარულოა, რომ რატი ალექსიძემ დანაპირები შეასრულა და გოლი გაიტანა. გიორგი ლომაიამ კი ერთხელაც დაამტკიცა, რომ ნაკრების პირველი მეკარეა. ჩვენ ახლა კმაყოფილების უფლება კი გვაქვს, მაგრამ ვალდებულნი ვართ, ყველაფერი „სიონთან" მატჩშიც დავამტკიცოთ. დინამოელთა ამ თაობაში ვხედავ დიდ სურვილს, „დინამოს" ძველი დიდება დაუბრუნოს.



[illegible] ფოტო

„დინამოს" თითქმის საჩემპიონო გოლისას გიორგი ლომაია უძლური იყო

# ჩხაიძემ ისევ გარიგება ააგორა

**ახალი სკანდალი** „ლოკომოტივში": კლუბის პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე რამდენიმე ფეხბურთელს „დინამოსთან" გარიგებაში და გუშინდელი მატჩის განგებ დათმობაში ადანაშაულებს. პრეზიდენტმა გვარების დასახელებისგან გუშინ თავი შეიკავა, თუმც ეჭვმიტანილთა ვინაობას ის ალბათ, დღეს იტყვის.

„ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ „დინამოსთან" მატჩის მეორე ტაიმში ფეხბურთელებმა შეგნებულად არ ითამაშეს და მეტოქეს მოაგებინეს. აკაკი ჩხაიძე ჯერჯერობით არც იმას ამბობს, თუ რა ინტერესი უნდა ჰქონოდათ „ლოკომოტივის" ფეხბურთელებს „დინამოსთვის" მოგება რომ ეჩუქებინათ. ნამატჩევს ჩხაიძე და კომპანია სტადიონზე სწორედ ამის გარკვევას ცდილობდნენ, არჩევდნენ სათამაშო ეპიზოდებს და ფეხბურთელებზე გულმოსულებს, თითქმის მთელი ახლანდელი შემადგენლობის გუნდიდან გაშვებაზეც დასცდათ სიტყვა. თუმც რაღა სათქმელია დასცდათო, როცა ვიცე-პრეზიდენტმა *ტარიელ ლეჟავამ* სატელეფონო საუბრისას, გვითხრა, მომავალ სეზონს „ლოკომოტივი" მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავებული შეხვდება და არც პრიზიორობაზე ექნება პრეტენზიაო.

გუშინდელ მატჩს მივუბრუნდეთ. *აკაკი ჩხაიძის* თქმით, „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა შესვენებისას, თბილისშივე პარალელურად მიმდინარე „ვიტ ჯორჯია" — „ტორპედოს" ანგარიში რომ შეიტყვეს, სწორედ მაშინ „დაღგნენ" და „დინამოს" გოლი გაატანინეს. პირველ ტაიმში „ლოკომოტივის" ბიჭები თამაშობდნენ, „ტორპედოს" დაწინაურების შემდეგ კი „დინამოს" გზა გაუხსნეს.

ჯერჯერობით სულ ესაა, დანარჩენი ხვალისთვის იყოს.

მანამდე კი შარშანდელი ზაფხულის ამბავსაც გაგახსენებთ: უეფას თასზე „ლოკომოტივმა" „კოპენჰაგენს" რომ უმასპინძლა და 1:4 წააგო. რკინიგზელთა უფროსობა დაეჭვდა, ფეხბურთელებმა ტოტალიზატორში ითამაშეს და დანიელებთან მატჩიც შეგნებულად წააგესო. დიდი დავიდარაბის შემდეგ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ მაშინვე არა, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელი გუნდიდან მოგვიანებით დაითხოვა.

**კობა ინასარიძე**

# დინამო ბიუჯეტს არ ემალება

**გუშინ** საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე იასე ზაუტაშვილმა იმ საწარმო-ორგანიზაციათა სია გამოაქვეყნა, რომლებსაც ბიუჯეტის დავალიანება აქვთ. ჩვენთვის მოულოდნელად, ურჩ გადამხდელთა შორის ზაუტაშვილმა საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო" დაასახელა და აღნიშნა, რომ კლუბს ბიუჯეტისა 8 მილიონი ლარი მართებს.

„დინამოს" „შავ სიაში" მოხვედრა მოულოდნელი იყოო, ვთქვით. გავიხსენოთ, რომ გუშინდელის მსგავსი განცხადება საგადასახადო დეპარტამენტს კლუბის წინააღმდეგ ადრეც გაუკეთებია. მაშინ „დინამომ" ფინანსთა სამინისტროს დამოწმებული წერილი „იშიშვლა", სადაც შავით თეთრზე წერია, რომ „დინამო" ბიუჯეტთან პირნათელია.

ახლაც იგივეს ამბობს კლუბის მმართველი დირექტორი *დავით პეტრიაშვილი:*

— საგადასახადო დეპარტამენტის განცხადება ტელევიზიით მოვისმინე და გაოცებული დავრჩი.. მე „დინამოს" მმართველი დირექტორი ვარ და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ჩვენ ბიუჯეტის თეთრიც კი არ გვმართებს.

**კობა ინასარიძე**

# იონანიძემ თბილისს ვერცხლი და უეფა წაართვა

თბილისი. 22 მაისი. 18 საათი. შოვარდენი. 500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 0:1 ტორპედო**

0:1 იონანიძე (24)

ვიტ ჯორჯია: მერლანი, კობიაშვილი, ინწკირველი (ბოლქვაძე 74), მუჯირი, ლ. ნოზაძე, დოლმელაშვილი, დ. დოლიძე, გ. მერებაშვილი (ადამია 46, ყიფიანი 57), მელქაძე, გ. გოჩაშვილი, მარცვალაძე
სათადარიგონი: ჭურაძე, იმედაშვილი, ფეიქრიშვილი, დათუნაიშვილი
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

ტორპედო: სტურუა, ხვადაგიანი, მახვილაძე, თოდუა, ლ. ძელიძე, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე (ზ. ქუთათელაძე 86), იონანიძე, ბოროშინი, გამეზარდაშვილი, ახალკაცი (გ. ზხეტიანი 69)
სათადარიგონი: რევიშვილი; ნერგაძე
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: მუჯირი (32), თოდუა (45), ბაბუნაშვილი (80)

მსაჯები: ა. ზილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (ცულუკიძე); მ. ზიბურაძე (თბილისი);

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია; დირექტორი: რ. შენგელია

ჯარიმა: 16-19; კუთხური: 9-2; კარისკენ დარტყმა: 8-6; კარში დარტყმა: 6-1; თამაშგარე: 1-2




ნუკრი ვარდოსანიძის ფოტო

**მამუკა კვანტალიანი**

**ქუთაისის** „ტორპედომ" „ვიტ ჯორჯიას" ძლევით მეთოთხმეტე ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონობა თითქმის გაინაღდა. გუშინ „შევარდენზე" რიონისპირელებმა ის მოახერხეს, რაც მეორე ეტაპზე ვერავინ შეძლო, ვეტერინარებმა საშინაო მატჩი წლეულს პირველად წააგეს.

ნაღდად ალალია ქუთაისელებისთვის ვერცხლის მედლები. რომ არა ფინანსური სიდუხჭირე და პირველი ეტაპის შემდეგ გასხვისებული სამი წამყვანი ფეხბურთელი, ისინი წლეულსაც იჩემპიონებდნენ. რიონისპირელთა ყოჩმა და ჩემპიონატის მთავარმეგოლემ, ზურაბ იონანიძემ კი საუკეთესო თვისებები მაშინ გამოამჟღავნა, როცა გუნდს ყველაზე მეტად უჭირდა და სადღეისოდ „ტორპედო" ვერცხლს თუ ეთამაშება, პირველ რიგში მისი ბრწყინვალე თამაშის წყალობაა. დამსახურებას ნურც სხვა ტორპედოელებს დავუკარგავთ, იმათ, ვინც პრინციპულ თამაშებში ორჯერ სძლიეს „დინამოს" და „ვიტ ჯორჯიასაც" ფაქტობრივად ხელიდან წაგლიჯეს ვიცე-ჩემპიონობა.

იქნებ ბევრსაც შეეცოდა მეტად სიმპათიური „ვიტ ჯორჯია", რომელსაც ჩემპიონობის რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ ვიტელთა ქომაგების სამწუხაროდ, გუშინდელი წაგების შემდეგ მხოლოდ ბრინჯაოს და ინტერტოტოს საგზურის მოპოვების იმედიღა დარჩა.

ვერ ივარგეს ახალგაზრდა ვიტელებმა, უპრინციპულეს ორთაბრძოლებში მოჭარბებულ ფსიქოლოგიურ ტვირთს ვერ გაუძლეს. გადამწყვეტ მატჩებში ძალაც არ ჰყოფნიდათ კარნევალის ბიჭებს, მათ შინ ვერ წააქციეს „დინამო", თითქმის მოგებული თამაში ფრედ დაასრულეს „ლოკომოტივთან", ხოლო „ტორპედოს" დაეჩაგვრინენ.

გუშინდელი თამაშის დასაწყისი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა. მასპინძელი მოედნის შუაგულში გაბატონებულიყო და მეტოქეს ნელ-ნელა ავიწროებდა. ვიტელთა ბომბარდირი ლევან მელქაძე „ტორპედოს" კარის გასაღებს აქტიურად დაეძებდა, მაგრამ მის დარტყმულებს სიზუსტე აკლდა.

ასე გრძელდებოდა 24-ე წუთამდე, სანამ „ტორპედო" დაწინაურდებოდა. მანამდე სტუმრებს მერლანი არც შეუწუხებიათ, ის კი არა, მეტოქის ნახევარზე გადასვლაც უჭირდათ, მაგრამ მომენტი შექმნეს და გამოიყენეს კიდეც.

მოედნის სიღრმიდან გადმოვარდნილ ბურთთან პირველი კობიაშვილი გაჩნდა, რომელმაც თამაშში მეკარის ჩართვა გადაწყვიტა. ვიტელთა მცველმა მერლანისკენ ნელა გააგორა ბურთი, რომელსაც იონანიძემ მიუსწრო, კარიდან გამოვარდნილ მეკარეს გამოზომილი დარტყმით შემოატარა და მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

გაშვებულმა გოლმა ვეტერინარები დააბნია და სამიოდ წუთში რიონისპირელებს ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ. იონანიძის კარის გასწვრივ ჩაწოდებულს მერლანი ვერ შესწვდა, ბურთს ფეხი ახალკაცმა დაუხვედრა და მცირედით ააცილა.

მასპინძლები გონს ტაიმის ბოლოსკენ მოეგნენ. ვიტელთა მორიგი კუთხურისას სტურუა მთელი თამაშის მანძილზე ერთხელ შეცდა — კარიდან გამოსულს ბურთი ხელიდან გაუვარდა და იქვე გაჩენილ კობიაშვილს შეცდომის გამოსწორების შანსი მისცა. თენგიზმა ბურთს თავი დაჰკრა, მაგრამ კარის ხაზზე ხვადაგიანი იდგა, რომელმაც დარტყმული უკუაგდო.

შესვენებისას კარნევალიმ ერეკლე მერებაშვილს ადამია შეუნაცვლა. გიორგიმაც მასპინძელთა შეტევები გაამწვავა და 51-ე წუთზე შეეძლო „ვიტ ჯორჯიასთვის" ფრთებიც შეესხა, მაგრამ სტურუასთან ფაქტობრივად პირისპირ დარჩენილმა კარში დარტყმას აღევნებული მცველის მოტყუება ამჯობინა და მომენტიც დაკარგა.

სულ მალე ადამია სერიოზულად დაშავდა. მცველთან და მეკარესთან ორთაბრძოლაში კოჭი დაიზიანა და მოედნიდან ხელით გასაყვანი შეიქნა. კარნევალი, სხვა გზა რომ არ ჰქონდა, ყიფიანს ენდო, რომელიც მოედანზე გამოჩენიდან სამ წუთში ორჯერ დაემუქრა სტუმართა კარს, მაგრამ სტურუამ ორჯერვე იმარჯვა.

„ვიტ ჯორჯია" მერეც ბევრს ცდილობდა, თუმც ვალში არც „ტორპედო" დარჩენია. რიონისპირელებს რამდენჯერმე სახიფათო კონტრშეტევის განხორციელების ჩინებული შანსი ჰქონდათ. იონანიძე, კვეტენაძე და განსაკუთრებით შეცვლაზე შემოსული გაგა ჩხეტიანი ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ ხან საბოლოო დარტყმებს აცუდებდნენ, ხანაც ბურთს ვერ ელეოდნენ და მომენტიც იკარგებოდა.

მატჩის შემდეგ ქუთაისელებმა პირველ რიგში „ლოკომოტივ" — „დინამოს" თამაშის საბოლოო შედეგი იკითხეს. რკინიგზელთა დამარცხების ამბავი რომ შეიტყვეს, გული დასწყდათ, მაგრამ არ უწუწუნიათ, „დინამომ" რომ გაგვისწრო და ჩემპიონები ვერ გავხდებით, მხოლოდ ჩვენი ბრალიაო. რიონისპირელები „კოლხეთთან" საშინაო ვერმოგებაზე და ბოლნისურ მარცხზე წუხდნენ.

„ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელები თავჩაქინდრულები მიდიოდნენ გასახდელისკენ. სულ რაღაც საათნახევრის წინ ჩემპიონობის შანსი ჰქონდათ და საბოლოოდ ხელში ბრინჯაოღა შერჩათ.

***სოსო ფრუიძე, „ტორპედოს" მწვრთნელი:*** დღევანდელ თამაშში უეფას თასის საგზურის ბედი წყდებოდა. ვიცოდით, „დინამო" თავის შანსს ხელიდან არ გაუშვებდა და მხოლოდ „ვიტ ჯორჯიასთან" დაძაბულ ბრძოლაზე ვფიქრობდით. „ტორპედო" კონკრეტულ მატჩს უფრო მომზადებული შეხვდა, გამოცდილებამაც თავისი გაიტანა და გავიმარჯვეთ.

ჩვენ კლუბში შექმნილ პრობლემებზე არც გვიფიქრია, ოჯახი რომ იყოფა, ერთი რჩება და მეორე მიდის. „ტორპედოში" პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე და ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილი რჩებიან და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში უკეთესი გუნდი გვეყოლება.

***ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:*** თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. სიტყვების შეკოწიწება მიჭირს. როცა მეტოქეს გოლს აჩუქებ და საპასუხოდ ოთხ-ხუთ საგოლე მომენტს ქარს გაატან, წაგებისთვის განწირული ხარ. ჩემი ბიჭები ზედმეტმა ნერვიულობამ და მეტოქის გამოცდილებამ დაამარცხა. შედეგი სამართლიანია. სულაც არ ვაპირებ, კობიაშვილს ვუსაყვედურო. ის ჩემი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და საიმედო მოთამაშეა. სეზონში ერთი საბედისწერო შეცდომა ყველას მოსდის. ოთხი შემტევით თამაში შეცდომა არ ყოფილა. მერებაშვილი და მარცვალაძე ფლანგებსაც აკონტროლებდნენ, თუმც ბურთთან დროულად განშორება უჭირდათ.

„ვიტ ჯორჯიას" ერთადერთი შანსი ბრინჯაო და ინტერტოტოა. ჩვენდა სამწუხაროდ, უფრო მაღალი ადგილის დასაუფლებლად ჩინებული მომენტები ხელიდან გავუშვით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 9 | 5 | 2 | 2 | 14:6 | 45 |
| ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 13:4 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 4 | 3 | 2 | 8:5 | 40 |
| ლოკომოტივი | 9 | 4 | 1 | 4 | 15:8 | 38 |
| სიონი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:17 | 23 |
| კოლხეთი | 9 | 0 | 4 | 5 | 3:21 | 19 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 25 - იონანიძე | *ტორპედო* |
| 20 - მელქაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| 14 - დარასელია | *დინამო* |



შეცვლაზე შესული გიორგი ადამია შესაცვლელიც გახდა და სამკურნალოც

ნუკრი ვარდოსანიძის ფოტოები




ზვიად სტურუამ ქუთაისელთა კარი ხელითაც დაიცვა და ფეხითაც

# ბატიგოლი თუ ბატიფული?

## ჩელსი პატიოსან არგენტინელს ეპატიჟება



გაბრიელ ომარ ბატისტუტა

**ლონდონის** „ჩელსის" მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ არ დამალა, რომ კლუბი იტალიური „ინტერისგან" გაბრიელ ბატისტუტას შეძენას აპირებს. თავად რანიერი 34 წლის თავდამსხმელის შესაძლო შემატებას იმედით შეჰყურებს. მოგეხსენებათ, „ჩელსი" მომდევნო სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და გამოცდილი არგენტინელი ფრიად წაადგება.

ბატისტუტა კი „ინტერს" „რომამ" ასესხა, ოღონდ ეგ არის, სეზონის ბოლოს ფეხბურთელსა და მილანის კლუბს შორის დადებულ ხელშეკრულებას ვადა გაუდის, ანუ ბატიგოლი თავისუფალი აგენტი ხდება. ადრინდელი მონაცემებით, „ჩელსისთვის" კონკურენცია თითქოს ლონდონისავე „ფულემს" უნდა გაეწია, მაგრამ მას მერე, რაც „ფულემმა" ფრანგი მწვრთნელი ჟან ტიგანა დაითხოვა, ბურთი და მოედანი რანიერის დარჩა.

„ჩემპიონთა ლიგაში წარმატებისთვის გამოცდილი ფეხბურთელების შეძენა გვჭირდება — ამბობს „ჩელსის" თავკაცი — ლიგის გარდა, ბატისტუტა, ასაკის მიუხედავად, პრემიერლიგაშიც გამოგვადგება. ინგლისში ხომ შეტევაზე დიდი აქცენტი კეთდება. მომავალი სეზონისთვის კიდევ რამდენიმე ტრანსფერი გვაქვს ჩაფიქრებული, მათგან ზოგი ჯერ მოსაგვარებელია, ზოგზე კი უკვე დაწყებულია მუშაობა. ბატისტუტას შემთხვევაში კონტრაქტი ჯერ ხელმოწერილი არ არის".

ამასთან, რანიერის სწამს, რომ არგენტინელი ლონდონში დიდი ხელფასის მისაღებად არ მიდის. მოგეხსენებათ, ბატისტუტა უკვე ვეტარანია, თან სპორტული სამოსის ფირმა „უილსონთანაც" მოაწერა ხელშეკრულებას ხელი. ერთი სიტყვით, სანამ ფეხბურთიდან წავა და მთლიანად ამ საქმეზე გადაერთვება, ეჭვია, რომ ცოტა ხანს, დიდ ფულად კიდევ გაერთობა მოედანზე, მაგრამ რანიერი ასე ამბობს:

„სამხრეთამერიკელ ფეხბურთელებს კარგად ვიცნობ და ამიტომ მეეჭვება, ბატისტუტა ჩვენთან მხოლოდ დიდი ფულის სურვილმა გადმოიყვანოს".

ბატიგოლის აგენტი სეტიმო ალოიზიო კი აცხადებს: „ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში „ინტერის" გამოვარდნამ ყველაფერი დააჩქარა. ამიერიდან გაბრიელის მომავალი გაცილებით ჩქარა გადაწყდება, თან მან თავად მითხრა, რომ ინგლისში სურს თამაში. აქ იმდენად ფულზე არ არის საუბარი, რამდენადაც ფეხბურთელის მოწადინებაზე. გადაჭრით ჯერ მაინც ვერ ვიტყვი ვერაფერს, თუმცა „ჩელსისთან" კონტრაქტს უკვე ვამუშავებთ და მისი ხელმოწერის შანსი დიდია".

და, რადგან „ჩელსიზე" ვლაპარაკობთ, ბარემ დავძინოთ, რომ ლონდონის ამ გუნდს „სანდერლენდის" მეკარე იურგენ მაჩოც სურს, ოღონდ, სანამ „სანდერლენდთან" კონტრაქტი არ ამოეწურება, მანამდე დოკუმენტს კალამი არ შეეხება.

ავსტრიელი მაჩო 25 წლისაა და მიუხედავად აშკარა ნიჭიერებისა, თომას სორენსენის და მარტ პოომის შემდეგ, მესამე გოლკიპერის პოზიციაზეა.

**პაპუნა ძიდია**

# რამ გადარია დევიდ ოლირი

## მისი გამოთლილი ბრილიანტი რობსონმა უფასოდ დაითრია



ბრილიანტი და იუველირი: ლი ბოიერი და დევიდ ოლირი

**ინგლისელი** ლი ბოიერი გავარდნილი „ვესტ ჰემიდან" წასვლის შემდეგ „ნიუკასლში" გადავა, სადაც ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს და კვირაში 40 ათას გირვანქას მიიღებს.

„ლი ნიუკასლში დიდებულად იგრძნობს თავს, ის ხომ უაღრესად მშრომელი ფეხბურთელია. ბოიერი გუნდის ნახევარდაცვას საგანგებო ენერგიას შემატებს და ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გოლებს გაიტანას, თან მაშინ, როდესაც ეს გოლები ყველაზე მეტად იქნება საჭირო" — განაცხადა მისმა „ლიდსის" დროინდელმა მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ.

ბოიერი დღეს 26 წლის გახლავთ. მის გამორჩეულ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში. „ლიდში" ოთხწლიანი მუშაობის დროს საგანგებო როლი სწორედ დევიდ ოლირიმ ითამაშა. იმხანად ბოიერი და სხვა ლიდსელები პრემიერლიგაშიც ძლიერად თამაშობდნენ და როგორც ჩემპიონთა ლიგაში, ასევე უეფას თასზე, ნახევარფინალში გავიდნენ.

იმავე წლებში ბოიერი და მისი ლიდსელი მეგობარი, ჯონათან ვუდგეიტი, ქალაქის ერთ-ერთ ღამის კლუბთან მავანი სტუდენტის ცემის გამო სასამართლოშიც გვარიანად არბენინეს, რის შემდეგაც იგი „ვესტ ჰემში" გადავიდა.

„ვესტ ჰემს" ფეხბურთელი ისე გაურიგდა, რომ გუნდის პრემიერლიგიდან გავარდნის შემთხვევაში უპრობლემოდ უნდა გაეშვათ, რაც მოხდა კიდეც. ერთი სიტყვით, ახლა ბოიერი ბობი რობსონის „ნიუკასლს" უნდა შეუერთდეს, სადაც ძმაბიჭი ვუდგეიტი ელის.

ისევ ოლირი: „ასე რომ, ბობი მეორე ბრწყინვალე ბიზნესს დაატრიალებს. პირველი „ლიდსიდან" ვუდგეიტის მხოლოდ 9 მილიონად დათრევა იყო, ახლა მეორე ბრილიანტი ჯიბეში ხელის ჩაყოფის გარეშე მიუვა. ბობი იღბლიანი მწვრთნელია. მასზე უკეთესი ხომ სეზონის ბოლო თვეებში არავინ გვინახავს, მით უფრო, რომ ბოიერს კოჭი ჰქონდა გამიზეზებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოიერი საუკეთესო იყო მაშინ, როდესაც ტრავმის გამო თავად მისთვის სასურველ დონეზე ვერ თამაშობდა. აი, ნახავთ, ბობი რობსონის ხელმძღვანელობით ძალიან დიდ ფეხბურთს ითამაშებს".

თავად ოლირი, მოგეხსენებათ, გრემ ტეილორის გასაოცარი გადადგომის შემდეგ „ასტონ ვილას" მწვრთნელობას დათანხმდა, თუმცა, როგორც ჩანს, თავის მომავალ გუნდზე მეტად ბოიერზე ფიქრობს.

„ბოი ყოველთვის საუცხოოდ თამაშობდა. წარმოიდგინეთ, ერთი წლის წინ „ლივერპული" მასში 9 მილიონ გირვანქას იხდიდა, „ნიუკასლი" კი უფასოდ ეპატრონება".

**პაპუნა ძიდია**

## შვეიცარია

### A ჯგუფი. XII ტური

**ციურიხი 1:1 გრასჰოპერი**

0:1 ედუარდო (28), 1:1 ტარონე (35)

**ბაზელი 4:0 თუნი**

1:0 მ. იაკინი (3), 2:0 ჰ. იაკინი (58), 3:0 ჩიპერფილდი (63), 4:0 ხ. როსი (66)

**ვილი 1:1 ქსამაქსი**

1:0 ლუსტრინელი (24), 1:1 ლეანდრო (45)

**იანგ ბოისი 2:1 სერვეტი**

1:0 სერმეტერი (6), 1:1 კადერი (16), 2:1 შაპუიზა (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 12 | 7 | 5 | 0 | 29:11 | 51 |
| ბაზელი | 12 | 8 | 2 | 2 | 31:17 | 50 |
| იანგ ბოისი | 12 | 6 | 1 | 5 | 17:21 | 34 |
| ქსამაქსი | 12 | 4 | 4 | 4 | 16:14 | 32 |
| სერვეტი | 12 | 4 | 4 | 4 | 14:17 | 31 |
| ციურიხი | 12 | 3 | 3 | 6 | 15:19 | 28 |
| ვილი | 12 | 2 | 3 | 7 | 15:24 | 25 |
| თუნი | 12 | 2 | 2 | 8 | 12:26 | 24 |

### A/B ჯგუფი. XII ტური

**ლუცერნი 5:0 დელემონი**

1:0, 2:0, 3:0 მუფი (52, 74, 77), 4:0 ბრანდი (85), 5:0 ჩენჩი (90)

ლუცერნელი *მიხეილ ყაველაშვილი* განაცხადში არ იყო

ვადუცი — აარაუ 3:6; სიონი — კრიენსი 3:0

### B ჯგუფი. XII ტური

**ვოლენი 1:0 ივერდონი**

1:0 გასტალდი (77)

ვოლენი: პატუსი, ფ. ვიჩეკონტე, იველი, მარკოვიჩი, კ. ვიჩეკონტე (ჰილდბრანდი 83), მარტინოვიჩი, შულცი (ლიუშერი 87), ზესა, დი ჯორიო, ფიორენცა (ხომერიკი 46), გასტალდი

ბადენი — ვინტერთური 2:1; შაფჰაუზენი — ბელინცონა 4:3; ლოზანა — კონკორდია 1:1

## ფინეთი

### III ტური

**იოკერიტი 3:1 ჯაზი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იოკერიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| მიუპა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ტპს | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| ალიანსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ჰამენლინა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ჰიკ | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჰაკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| იარო | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| კუოპიო | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| ლაჰტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ჯაზი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |
| კოტკანი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| ტამპერე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ინტერი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

## მოლდოვა

### თასის ფინალი

**ზიმბრუ 0:0 (პენ. 4:2) ნისტრუ**

## ისრაელი

### თასის ფინალი

**მაკაბი (ჰაიფა) 2:0 ჰაპოელი (თელ ავივი)**

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა. XXVI ტური

**დინამო 2:1 შახტარი**

0:1 პოპოვი (29), 1:1 შაცკიხი (45), 2:1 პეკანჯიჩი (58ს.კ.)

*ტურის დანარჩენი მატჩები გაიმართება 24 მაისს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 26 | 19 | 4 | 3 | 54:17 | 61 |
| შახტარი | 26 | 19 | 3 | 4 | 49:21 | 60 |
| მ. დონეცკი | 25 | 15 | 4 | 6 | 37:25 | 49 |
| არსენალი | 25 | 14 | 7 | 4 | 45:18 | 49 |
| დნიპრო | 25 | 14 | 5 | 6 | 35:19 | 47 |
| ვოლინი | 25 | 12 | 4 | 9 | 31:32 | 40 |
| ტავრია | 25 | 9 | 4 | 12 | 29:37 | 31 |
| კარპატი | 25 | 8 | 6 | 11 | 24:29 | 30 |
| ილიჩევეცი | 25 | 7 | 7 | 11 | 29:33 | 28 |
| ჩერნომორეცი | 25 | 8 | 3 | 14 | 22:34 | 27 |
| ოლიქსანდრია | 25 | 6 | 9 | 10 | 22:36 | 27 |
| ვორსკლა | 25 | 7 | 4 | 14 | 20:37 | 25 |
| კრივბასი | 25 | 6 | 7 | 12 | 19:27 | 25 |
| ობოლონი | 25 | 5 | 7 | 13 | 22:34 | 22 |
| მ. ზაპოროჟიე | 25 | 5 | 6 | 14 | 18:34 | 21 |
| მეტალისტი | 25 | 9 | 4 | 16 | 13:34 | 19 |

## პოლონეთი

28-ე ტური: გურნიკი — პლოცკი 1:2; გროცლინი — გარბარნია 5:0; ოსტროვეცი — კატოვიცე 0:3; ლეგია — ლეხი 2:0; პოგონი — ვიძევი 0:1; ვისლა — პოლონია 3:0; ზაგლებე — რუხი 2:1; ოდრა — ამიცა 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 27 | 18 | 5 | 4 | 67:26 | 59 |
| კატოვიცე | 27 | 18 | 2 | 7 | 35:18 | 56 |
| ლეგია | 27 | 16 | 7 | 4 | 52:24 | 55 |
| გროცლინი | 27 | 16 | 7 | 4 | 50:25 | 55 |
| ოდრა | 27 | 16 | 4 | 7 | 51:38 | 52 |
| ამიცა | 27 | 11 | 8 | 8 | 40:30 | 41 |
| გურნიკი | 27 | 10 | 9 | 8 | 45:30 | 39 |
| პოლონია | 27 | 10 | 6 | 11 | 32:41 | 36 |
| პლოცკი | 27 | 9 | 7 | 11 | 27:32 | 34 |
| ლეხი | 27 | 7 | 10 | 10 | 33:34 | 31 |
| ზაგლებე | 27 | 8 | 7 | 12 | 31:35 | 31 |
| ვიძევი | 27 | 8 | 7 | 12 | 26:37 | 31 |
| რუხი | 27 | 6 | 9 | 12 | 22:35 | 27 |
| გარბანია | 27 | 7 | 6 | 14 | 37:52 | 27 |
| ოსტროვიცი | 27 | 4 | 3 | 20 | 19:57 | 15 |
| პოგონი | 27 | 2 | 3 | 22 | 14:67 | 9 |

## ბულგარეთი

### თასის ფინალი

**ლევსკი 2:1 ლიტექსი**

## ბრაზილია

### თასის ნახევარფინალი I მატჩები

**გოიასი 2:3 კრუზეირო**

**სპორტ რესიფე 0:1 ფლამენგო**

## ხორვატია

### თასის ფინალი I მატჩი

**ულიანიკი 0:1 ჰაიდუკი**

*საპასუხო მატჩი გაიმართება 4 ივნისს*


სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- ნარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

რეკლამა სარბიელ—ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# უეფას თასი 2002-2003. ფინალი

## სელტიკი 2:3 დ.დ.(2:2) პორტუ

სევილია. „ესტადიო ოლიმპიკო“. 52 972 მაყურებელი. მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

0:1 დერლეი სილვა (45), 1:1 ლარსონი (47), 1:2 ალენიჩევი (54), 2:2 ლარსონი (57), 2:3 დერლეი სილვა (115)

გაფრთხილება: ვალგაერენი, ლენონი, ნუნუ ვალენტე, ბალდე, ბალდე, პეტროვი, რიბეირუ, მ. ფერეირა, ნუნუ ვალენტე

გაძევება: ბალდე (95), ნუნუ ვალენტე (120)

დუგლასი, ვალგაერენი (უ. ლაურსენი 64), ბალდე, მიალბი, აგატი, ლენონი, ლამბერტი (მაკნამარა 76), ს. პეტროვი (მელოუნი 105), ა. ტომპსონი, ლარსონი, სატონი
*სათადარიგონი:* ჰედმანი; სილა, დ. ფერნანდესი, ჯ. სმიტი
მწვრთნელი: მარტინ ონილი

ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა (პედრუ ემანუელი 71), რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, კოშტინია (რიკარდუ კოშტა 9), ალენიჩევი, დეკო სოუზა, მ. რიბეირუ, ნუნუ კაპუშუ (მ. ფერეირა 98), დერლეი სილვა
*სათადარიგონი:* ნუნუ სიმოეში; პეიშოტო, კლეიტონი, ტიაგუ
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ




# გახსოვს?

## სევილიაში დაწერილი პორტუგალიური ისტორია


ჟოზე მაურინიუ

პორტუგალიის 17 წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო. პორტუგალიურმა „პორტუმ“ თავის ისტორიაში პირველად უეფას თასი აღმართა. პორტუგალია მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.

როგორ გაიხსენებენ პორტუგალიელები 2003 წელს? მაგალითად ასე — სერჟიო ჰკითხავს რუის: გახსოვს უეფას თასის ფინალი? რა თქმა უნდა, უპასუხებს რუი. დეკო სოუზა პასებს არიგებდა, დერლეი სილვამ კი ორი გოლი გაიტანა. დერლეი სილვა „პორტუს“ ბრაზილიელი ლეგიონერია, დეკო სოუზა კი გაპორტუგალიელებული ბრაზილიელი.

მოკლედ, „პორტუმ“ ადრევე მოგებულ ჩემპიონთა თასს უეფას თასი მიამატა. პორტუელთა მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს აზრით, მის გუნდს „სელტიკის“ წინააღმდეგ თამაში ძალიან გაუჭირდა: „დარწმუნებული ვარ, რომ „სელტიკი“ ნებისმიერ მეტოქეს გააწვალებს, განსაკუთრებით „პორტუს“ ყაიდის გუნდებს. ისინი ჩვენზე გაცილებით ძლიერები არიან და ბრიტანულ ფეხბურთის ქადაგებენ. მათი თამაში გამორჩეულია. მკაცრი დაცვა და ელვისებური კონტრშეტევები, მაღალი პასები საჯარიმოში. რაც შეეხება „პორტუს“, მატჩის მსვლელობისას იძულებული ვიყავი, ფრანსისკო კოშტინია შემეცვალა. გეგმები ოდნავ აშერია, თუმცა ლუბოშ მიხელის სასტვენის შემდეგ ყველაფერი დამავიწყდა“.

ცხადია, გამარჯვებულ მწვრთნელს ევროპიდან ბობოლები შეეხმიანნენ და სამსახური შესთავაზეს.

მაურინიუმ თქვა: „არ მსურს წასვლა კლუბიდან, სადაც წარმატებებს მივაღწიე. თავად ფეხბურთელებიც ალბათ დარჩებიან, რადგან მომავალ სეზონში, ჩემპიონთა ლიგა ელით და ვფიქრობ, ეს საკმარისი მოტივაციაა. ისინი უსახელო გუნდებიდან მოვიყვანე და სეზონი ტრიუმფით დავასრულეთ“.

მწვრთნელმა დერლეი სილვას გარჯა არ დაუკარგა: „იგი „ლეირიაში“ თამაშობდა, ახლა კი უეფას თასის მთავარმეგოლე გახდა“. შეგახსენებთ, რომ თავად ჟოზე მაურინიუ „ლეირიას“ მწვრთნელი იყო და დერლეი სილვაც მისი გამოზრდილია. „ეს ჩემი კარიერის მთავარი მატჩი იყო, დაძაბულობით და ემოციებით სავსე“ — დასძინა მწვრთნელმა.

ეჰ, მარტინ ონილს რომ გული დასწყდა, რა გასაკვირია. „ბლექბერნის“, „შტუტგარტისა“ და „ლივერპულის“ გზიდან ჩამომცილებელის მარცხით დადარდიანებული ხმა ჰქონდა: „შეხვედრის ბოლო წუთებში „პორტუს“ ფეხბურთელების საქციელი არ მომეწონა. ისინი მსახიობებს დაემსგავსნენ. თავად ნახეთ „სელტიკის“ ფანების რეაქცია, როცა პორტუელებს მედლები გადასცეს. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. ათნი დარჩნენ და მაშინაც კი კარგად ითამაშეს. ვერ დავიჯერებ, რომ ბალდე გასაძევებელი არ იყო, მაგრამ ლუბოშ მიხელს მეტი პროფესიონალიზმი მოეთხოვება. ჯერ ახალგაზრდაა და კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს. მომხდარი კი ჩვენ სამომავლოდ გამოგვადგება. „სელტიკმა“ ჩემპიონთა ლიგაც დააჭაშნიკა და უეფას თასის ფინალიც ნახა. ვიმედოვნებ, რომ მიღწეულზე არ შევჩერდებით და უკეთეს შედეგებს შევწვდებით“.

პორტუში მთელი ღამე ზეიმობდნენ. ათასობით გულშემატკივარი ქუჩებს შეესია. პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა დურაუ ბაროზამაც გაიხარა. „რა თქმა უნდა, ეს სასიხარულოა. „პორტუ“ შესანიშნავი გუნდია, რაც ფინალშიც დაამტკიცა. გაისად ევროპის ჩემპიონატს ვმასპინძლობთ და პორტუგალიური გუნდების წარმატება ორმაგად დასაფასებელია“.

**ვაჟა ხუციშვილი**



# უეფას თასი 2002-2003. ფინალი

## დერლეი სილვა



დერლეი სილვას მეორე და „პორტუს“ გამარჯვების გოლი

ფინალური მატჩი ორი მეგოლის დუელად იქცა. უეფას თასის ბომბარდირებმა თავისი საქმე სევილიაშიც გააკეთეს. შვედმა და ბრაზილიელმა წყვილ-წყვილად გაიტანეს. დერლეი სილვა ფინალის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და საგანგებოდ დააჯილდოვეს.

ელდერ პორტიგას არყოფნაში ჟოზე მაურინიუმ ნაცად ტაქტიკას არ უღალატა და 4-4-2-ს მიმართა. თავად ბრაზილიელი ფორვარდის თქმით, ასეთი განლაგება მას შეტევის მეტ საშუალებას აძლევს. პორტუგალიის ჩემპიონატში „პორტუ“ უმეტესწილად სამი თავდამსხმელით თამაშობს და დერლეი სილვა მარცხნიდან უტევს. შეიძლება სწორედ ამიტომაც, ჩემპიონატში მხოლოდ 6 გოლი მიითვალა, სამაგიეროდ, უეფას თასის მატჩებში სულ წყვილ-წყვილ გოლებს ზეიმობდა.

„შეტევის გარდა მწვრთნელისგან სხვა დავალებებსაც ვიღებ. ხანდახან დაცვაში დაბრუნება მიწევს და შესაბამისად სიღრმიდან ვმოქმედებ“ — თქვა ბრაზილიელმა.

საინტერესოა, რომ 27 წლის მეგოლე ფინალში, განსაკუთრებით პირველი ტაიმის დასაწყისში, მეტოქის კართან იშვიათად ჩნდებოდა. სამაგიეროდ, მეკარის მოგერიებულ ორივე ბურთს საჭირო ადგილზე დაუხვდა, რაც ორი გოლის გასატანად საკმარისი გამოდგა.



## ჰენრიკ ლარსონი

ჰენრიკ ლარსონს მეწყვილე, ჯონ ჰარტსონი აკლდა. უჯონობაზე მატჩამდე მარტინ ონილმაც დაიჩივლა და მართალიც იყო, რადგან უელსელი „სელტიკისთვის“ რომ შეუცვლელია, ფინალში გამოჩნდა. კრის სატონმა და სტილიან პეტროვმა ჰენრიკ ლარსონის სათანადოდ მომარაგება ვერ შეძლეს და შვედს ხშირად ბურთისთვის ცენტრამდე ჩასვლა უწევდა, საიდანაც სისწრაფის წყალობით მეტოქეების დაჩაგვრას ცდილობდა.

შესვენების შემდეგ ლარსონმა პორტუგალიელები ჰაერში გამოიჭირა. ჟოზე მაურინიუ სწორედ „მეორე სართულს“ უფრთხოდა და არც შემცდარა. მისი ორი უზადო თავურის წყალობით „სელტიკმა“ სიცოცხლე გაიხანგრძლივა. პირველი გოლი მე-200 გამოდგა „სელტიკის“ მაისურით შემოსილი შვედისთვის. „ამ სეზონში, ორჯერ დაწინაურებული „პორტუსთვის“ ორჯერვე გათანაბრება მხოლოდ ჩვენ შევძელით, მაგრამ სააცარია, რომ ეს არ გვეყო“ — დაიჩივლა ლარსონმა.

## უეფას და ბაზრობათა თასის ყველა ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1958 | ბარსელონის ნაკრები (ესპანეთი) — ლონდონის ნაკრები (ინგლისი) | 2:2, 6:0 |
| 1960 | ბარსელონა (ესპანეთი) — ბირმინგემი (ინგლისი) | 1:1, 4:1 |
| 1961 | რომა (იტალია) — ბირმინგემი (ინგლისი) | 1:1, 4:1 |
| 1962 | ვალენსია (ესპანეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 6:2, 1:1 |
| 1963 | ვალენსია (ესპანეთი) — დინამო (იუგოსლავია) | 2:0, 2:1 |
| 1964 | სარაგოსა (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი) | 2:1 |
| 1965 | ფერენცვაროში (უნგრეთი) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 1966 | ბარსელონა (ესპანეთი) — სარაგოსა (ესპანეთი) | 0:1, 4:2 |
| 1967 | დინამო (იუგოსლავია) — ლიდსი (ინგლისი) | 2:0, 0:0 |
| 1968 | ლიდსი (ინგლისი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | 1:0, 0:0 |
| 1969 | ნიუკასლი (ინგლისი) — დოჟა უიპეშტი (უნგრეთი) | 3:0, 3:2 |
| 1970 | არსენალი (ინგლისი) — ანდერლეხტი (ბელგია) | 1:3, 3:0 |
| 1971 | ტოტენჰემი (ინგლისი) — იუვენტუსი (იტალია) | 2:2, 3:1 |
| 1972 | ტოტენჰემი (ინგლისი) — ვულვერჰემპტონი (ინგლისი) | 2:1, 1:1 |
| 1973 | ლივერპული (ინგლისი) — მიონხენგლადბახი (გფრ) | 3:0, 0:2 |
| 1974 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ტოტენჰემი (ინგლისი) | 2:2, 2:0 |
| 1975 | მიონხენგლადბახი (გფრ) — ტვენტე (ჰოლანდია) | 0:0, 5:1 |
| 1976 | ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია) | 3:1, 1:1 |
| 1977 | იუვენტუსი (იტალია) — ბილბაო (ესპანეთი) | 1:0, 1:2 |
| 1978 | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბასტია (საფრანგეთი) | 0:0, 3:0 |
| 1979 | მიონხენგლადბახი (გფრ) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1:1, 1:0 |
| 1980 | აინტრახტი (გფრ) — მიონხენგლადბახი (გფრ) | 2:3, 1:0 |
| 1981 | იფსვიჩი (ინგლისი) — აზ-67 ალკმაარი (ჰოლანდია) | 3:0, 2:4 |
| 1982 | გიოტებორგი (შვედეთი) — ჰამბურგი (გფრ) | 1:0, 3:0 |
| 1983 | ანდერლეხტი (ბელგია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0, 1:1 |
| 1984 | ტოტენჰემი (ინგლისი) — ანდერლეხტი (ბელგია) | 1:1, 1:1(პენ.4:3) |
| 1985 | რეალი (ესპანეთი) — ვიდეოტონი (უნგრეთი) | 3:0, 0:1 |
| 1986 | რეალი (ესპანეთი) — კიოლნი (გფრ) | 5:1, 0:2 |
| 1987 | გიოტებორგი (შვედეთი) — დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) | 1:0, 1:1 |
| 1988 | ლევერკუზენი (გფრ) — ესპანიოლი (ესპანეთი) | 0:3, 3:0(პენ.3:2) |
| 1989 | ნაპოლი (იტალია) — შტუტგარტი (გერმანია) | 2:1, 3:3 |
| 1990 | იუვენტუსი (იტალია) — ფიორენტინა (იტალია) | 3:1, 0:0 |
| 1991 | ინტერი (იტალია) — რომა (იტალია) | 2:0, 0:1 |
| 1992 | აიაქსი (ჰოლანდია) — ტორინო (იტალია) | 0:0, 2:2 |
| 1993 | იუვენტუსი (იტალია) — დორტმუნდი (გერმანია) | 3:0, 3:1 |
| 1994 | ინტერი (იტალია) — კაზინო (ავსტრია) | 1:0, 1:0 |
| 1995 | პარმა (იტალია) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0, 1:1 |
| 1996 | ბაიერნი (გერმანია) — ბორდო (საფრანგეთი) | 2:0, 3:1 |
| 1997 | შალკე (გერმანია) — ინტერი (იტალია) | 1:0, 0:1(პენ.4:1) |
| 1998 | ინტერი (იტალია) — ლაციო (იტალია) | 3:0 |
| 1999 | პარმა (იტალია) — მარსელი (საფრანგეთი) | 3:0 |
| 2000 | გალათასარაი (თურქეთი) — არსენალი (ინგლისი) | 0:0(პენ.4:1) |
| 2001 | ლივერპული (ინგლისი) — ალავესი (ესპანეთი) | 5:4დ.დ.(4:4) |
| 2002 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — დორტმუნდი (გერმანია) | 3:2 |
| 2003 | პორტუ (პორტუგალია) — სელტიკი (შოტლანდია) | 3:2დ.დ.(2:2) |



## დეკო სოუზა

დერლეი საუკეთესოდ აღიარეს, მაგრამ ლუიშ ფელიპე სკოლარის აჩემებული კაცი დეკო სოუზა „პორტუს“ ჯიგარი იყო. გაპორტუგალიელებულმა ბრაზილიელმა პასები უხვად არიგა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „დიდი ფილი“ არჩევანში არ შემცდარა. ალენიჩევს მან უზადო პასი მიაწოდა. თითქოს მარცხენა ფეხით დარტყმა დააპირა, მაგრამ მოულოდნელად მარჯვენით ისეთი მოჭრა, რომ მცველები გაოგნებული დატოვა.

დეკო სოუზას ლაპარაკი მაინცდამაინც არ უყვარს, მაგრამ გახარებულმა, ნამატჩევს ზემოაღწერილი მომენტი ასე გაიხსენა: „მცველს ბურთი ავართვი, მერე ერთსაც გავცდი და დავინახე, როგორ ჩაირბინა ალენიჩევმა. ამის გაკეთება ძნელი არაა, მსგავსი ეპიზოდები თითქმის ყოველ მატჩში იქმნება.“

ჟოზე მაურინიუმ მას ფეხბურთის გურმანების დელიკატესი უწოდა: „დეკოს გაუმართლა, ბალდემ რომ არ დაამტვრია. პერსონალური მეურვის, ნილ ლენონის მონდომების მიუხედავად, მან ბრწყინვალედ ითამაშა. ის გუნდის გულია.“



## პრეზიდენტი

უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი სევილიის მასპინძლობით აღფრთოვანებულია. „გმადლობთ, სევილი!“ — თქვა პრეზიდენტმა და დასძინა — ალმასკომი უეფას თასის წლევანდელი გათამაშებით კმაყოფილია და სამომავლოდ ფორმატის დასახვეწად კვლავაც იზრუნებს. სტუმართმოყვარე ანდალუზიელებმა შესანიშნავი დახვედრა მოგვიწყეს და ორივე გუნდის გულშემატკივრებიც სამაგალითოდ მოიქცნენ. სევილიაში ნამდვილი ზეიმი შედგა.“

# NEW პელერექცია



რა კაცია პელე: ოფიციალურ ღონისძიებაზეც, მილიონობით ადამიანის თვალწინ, პოპ-ვარსკვლავ ანასტასიას სავსე მკერდს ჩააცქერდა

**ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ** ყველაფრისთვის „მასტერქარდი“ არსებობს. „მასტერქარდის“ უპირველესი აგიტატორი პელეა. პელე ფეხბურთის მეფეა. მეფემ ერთხელ თქვა, პირველი სექსუალური კონტაქტი კაცთან მქონდაო, ახლა მეფე პელე 62 წლისაა.

მაგრამ ყველაფერს ხომ ფულით ვერ იყიდი? მაგალითად, უკაცრავად და, ერექციას?

თქვენ წარმოიდგინეთ, მშველელი აქაც პელეა — მას ხომ ერექციის დეფიციტი, როგორც ირკვევა, არც ახლა და ქალთან გააჩნია და არც ადრე და კაცთან გააჩნდა.

„შოკში ჩავვარდი, როცა მითხრეს, თუ რამდენ კაცს აწუხებს მსოფლიოში იმპოტენციის პრობლემა. ისიც მითხრეს, რომ ამათი უმრავლესობა ამ პრობლემის გამხელას უკადრისობს. ჰოდა, გადავწყვიტე, ჩემი ავტორიტეტი მოვიშველიო, ამ ხალხს შევუძახო და პრობლემა მოვუხსნა“ — უთხრა პელემ გუშინწინ ინგლისურ გაზეთ „სანს“.

შემახილით რომ ის კი არა, ხეც კი ხმებოდა, ვიცოდით, მაგრამ პელე ქართული გამოთქმის საპირისპიროს აპირებს. ამისთვის ივნისიდან მთელს მსოფლიოში ახალი კამპანიის წამოწყებას ლამობს, დევიზით — შენ მარტო არ ხარ! „ერექციანაკლულმა კაცმა უნდა იცოდეს, რომ პრობლემის უგულვებელყოფით მხოლოდ საკუთარ თავს კი არა, მთელ ოჯახსა და საზოგადოებას ვნებს — წარმომიდგენია, რა უგულოდ მუშაობს იმპოტენტი თავის სამსახურში“ — ამბობს მეფე პელე და ახალი კამპანიის პირველ ეტაპზე საუბრობს: „კაცებს პირისპირ შევხვდები და ამ პრობლემის არსს ავუხსნი“.

ცხადია, მთელი მსოფლიოს იმპოტენტებს, დაახლოებით 150 მილიონ კაცს, პელე უშუალოდ ვერ გაწვდება, ამიტომ მისი წინადადებაა, შესაბამისი ტელე-შოუ შეიქმნას. პირველი ასეთი გადაცემა ეთერში ორიოდ კვირაში გავა და მასში პელე სამ ბრიტანელ მოხალისე იმპოტენტს შეხვდება.

პელემვე დაადასტურა, რომ სულ მალე მსოფლიოს ფარმაკოლოგიურ ბაზარზე ვიაგრასნაირი რამდენიმე ახალი პრეპარატი გამოჩნდება.

**ᲒᲘᲒᲐ ᲫᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ**





ლუჩანო გუჩიმ ალ-საიდი კადაფი გამოიძახა

# უცნაური ამბავი: კადაფი პერუჯაში

გუშინ იტალიურ „გაძეტა დელო სპორტში“ „პერუჯას“ პრეზიდენტის, ლუჩანო გუჩის ინტერვიუ დაიბეჭდა, რომელშიც წერია, „პერუჯა“ ლიბიის დიქტატორის, მუამარ კადაფის შვილის, ფეხბურთზე გაგიჟებული ალ-საიდი კადაფის ყიდვას აპირებსო. გუჩის თქმით, ის ალ-საადის თამაშს აღფრთოვანებია და ამტკიცებს, იმ დონის ფეხბურთელია, იტალიურ ლიგას უპრობლემოდ მოერგებაო.

„ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ალ-საიდი კადაფი მისი ფულის გამო გვინდა. არავითარ შემთხვევაში, საქმე მხოლოდ ფეხბურთშია. უმცროს კადაფის ამ კვირაშივე საბოლოოდ დაველაპარაკებით და ალბათ ჩვენი ფეხბურთელი გახდება“.

ალ-საიდი კადაფი ლიბიაში 2001 წლის საუკეთესო ფორვარდად დაასახელეს, მაგრამ ქვეყანაში, რომელსაც მამამისი ერთპიროვნულად მართავს, ეს გასაკვირი ამბავი არ არის და არც ალ-საიდის დიდ ფეხბურთელობზე მიგვანიშნებს.

სხვათა შორის, ლიბიის ნაკრებს შარშანდლამდე იტალიელი მწვრთნელი, ფრანკო სკოლიო წვრთნიდა და პოსტიდან იმიტომ დაითხოვეს, რომ უმცროსი კადაფის ნაკრებში აყვანაზე უარი თქვა.

ლუჩანო გაუჩის ამ განცხადების მერე ჟურნალისტები, ცხადია, სკოლიოს მიადგნენ და კადაფის ფეხბურთელობის ამბავი გამოკითხეს. „ეგეთი უნიჭო ფეხბურთელი ცხოვრებაში არ შემხვედრია — თქვა მწვრთნელებმა — თუნდაც ერთ წუთს როგორ ვითამაშებდი“.

შეგახსენებთ, რომ ალ-საიდი კადაფი ტრიპოლის „ალ-იტიჰადის“ მეპატრონე და ფეხბურთელია. მას „იუვენტუსის“ აქციების ნაწილიც აქვს და ტურინული კლუბის დირექტორატის წევრია. ხოლო ლუჩანო გუჩი ის კაცია, ვინც შარშან ზაფხულში თავის კორეელ ფეხბურთელზე, იუნგ-ჰვან ანზე თქვა, იტალიის ნაკრების კარში გოლის გამტნას ხელფასს როგორ გადავუხდიო. მართალია, მერე ბოდიში მოახდევინეს, მაგრამ ანმა „პერუჯაში“ თამაში აღარ ინდომა.

**ᲫᲝᲢᲔ ᲫᲔᲫᲔᲚᲘᲐ**



ფრანკო სკოლიომ ლიბიელის ფეხბურთელობისა ვერაფერი გაიგო

# შოტლანდიაში გოლებს დაითვლიან

ამ კვირა დღეს შოტლანდიის პრემიერლიგაში ბოლო ტური გაიმართება და ვინ იცის, ეგებ ჩემპიონის გამოსავლენად დამატებითი მატჩიც საჭირო გახდეს.

სადღეისოდ ვითარება ასეთია: „რეინჯერსსაც“ და „სელტიკსაც“ 94 ქულა აქვთ. ამ შემთხვევაში უმჯობესი ის გუნდია, რომელსაც ბურთების უკეთესი სხვაობა გააჩნია. მაგრამ ორივე გლაზგოურ გუნდს თანაბარი სხვაობა — პლუს 68 აქვთ. შემდეგი კრიტერიუმი მეტი გატანილი გოლია. აქ „რეინჯერსი“ ერთი ბურთით სჯობნის მარადიულ მეტოქეს — 95 გოლი 94-ის საწინააღმდეგოდ. მაგრამ ეს ერთბურთიანი უპირატესობა მეტად მყიფეა და საკმარისია, ბოლო ტურში ორივემ თანაბარი სხვაობით მოიგონ (ფრედ ითამაშონ ან წააგონ), მაგრამ „სელტიკმა“ „რეინჯერსზე“ ერთი ბურთით მეტი გაიტანოს, რომ მათ შორის ყველანაირი სხვაობა მოისპობა. ამ შემთხვევაში კი დადგენილია: 3 ივნისს, „ჰემპდენ პარკზე“ „ოქროს მატჩი“ ჩატარდება — თამაში აი, ის იქნება!

სხვათა შორის, იქამდე ოთხი დღით ადრე „რეინჯერსს“ თასის ფინალი აქვს სათამაშო „დანდისთან“ და თუ „ოქროს მატჩის“ გამართვა გახდა საჭირო, თასის ფინალს ალბათ გადაიტანენ.

სქოთური ფეხბურთის ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, სეზონი თანაბარი ქულებით აქამდეც დაუსრულებია ორ გუნდს. პირველი ამგვარი შემთხვევა პირველ ჩემპიონატში, 1894 წელს მოხდა. მაშინ „რეინჯერსმა“ და „დამბარტინმა“ 29-29 ქულა დააგროვეს. დაინიშნა „ოქროს მატჩი“, რომელიც ფრედ, 2:2 დასრულდა და სქოთური ფეხბურთის მამებმა ჩემპიონობა ორივე გუნდს არგუნეს.



რეინჯერსის და სელტიკის მენეჯერები, ალექს მაკლიში და მარტინ ონილი: მეტი გოლი, ბიჭებო

1905 წელს კვლავაც საჭირო შეიქნა გადამწყვეტი მატჩის დანიშვნა. ეს თამაში „ჰემპდენზე“ გაიმართა, „სელტიკი“ და „რეინჯერსი“ შეხვდნენ და სელტიკელებმა 2:1 მოიგეს.

1922-23 წლების სეზონიდან შოტლანდიელებმა თანაბარქულიანობის შემთხვევაში ახალი წესი დანერგეს, აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ რთულიც. გატანილი გოლების რაოდენობას გაშვებული გოლების რაოდენობაზე ყოფდნენ და ვისაც უკეთესი კოეფიციენტი გამოუვიდოდა, ჩემპიონიც ის ხდებოდა.

ამ წესის გამოყენება ორჯერ გახდა საჭირო. 1953 წელს უკეთესი კოეფიციენტით „რეინჯერსმა“ „ჰიბერნიანს“ აჯობა, ხოლო 1964 წელს „კილმარნოკმა“ „ჰართსს“.

1972 წელს ეს წესი უფრო მარტივით, ახლანდელით შეიცვალა, ანუ ჩემპიონად ბურთების უკეთესი სხვაობის მქონე გუნდი ცხადდებოდა. ეს წესი ჯერ არ გამოყენებულა.

ახლა, ბოლო ტურში, „რეინჯერსი“ „დანფერმლაინს“ მასპინძლობს, ხოლო „სელტიკი“ „კილმარნოკს“ სტუმრობს. რა შემთხვევაში დაინიშნება „ოქროს მატჩი“, უკვე მოგახსენეთ.

ბოლოს კი დავძინოთ, რომ ბოლო ტურში ჩემპიონის ვინაობა ბოლოს 1998 წელს გაირკვა, როცა ჩემპიონი „სელტიკი“ გახდა. მას მერე ტიტულის ბედი ვადამდე ირკვეოდა.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ**

# ჩხუბის დონე

**რუსეთი**

**თასის ნახევარფინალი**

**ლადა 2:3დ.დ. (2:2) *სპარტაკი***

1:0 სერბინი (7), 2:0 დავიდოვი (29), 2:1, 2:2 პავლიუჩენკო (32, 83), 2:3 კოვტუნი (101)

**ანჟი 0:1 *როსტოვი***

0:1 მასლოვი (76)

*ფინალში, 15 ივნისს მოსკოვის „ლოკომოტივზე“ „სპარტაკი“ და „როსტოვი“ ითამაშებენ*

**ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ** თასის ფინალში მოსკოვის „სპარტაკი“ როსტოვის „როსტოვს“ შეხვდება.

ფინალისტთა ვინაობა გუშინწინ გაირკვა. „სპარტაკმა“ „ლადას“ დამატებით დროში იური კოვტუნის გოლით სძლია, „როსტოვმა“ კი მახაჩყალის „ანჟის“ — დროის დაუმატებლად.

ორივე მატჩში საინტერესო ამბები მოხდა. „სპარტაკი“ პირველი ტაიმს 0:2-ს აგებდა, მაგრამ რომან პავლიუჩენკომ შესვენებამდე ჯერ ერთი გაქვითა, მეორე ნახევრის მიწურულს კი გაათანაბრა. იური კოვტუნმა კი ოლეგ რომანცევი მორიგი სირცხვილისგან იხსნა და გუნდი თასის ფინალში გაიყვანა.

მახაჩყალაში „ანჟის“ შემადგენლობაში სამმა ქართველმა შეუცვლელად ითამაშა. კახა მჟავანაძე, კახა ცხადაძე და ომარ თეთრაძე თანაგუნდელებთან ერთად როსტოველებს ვერ გაუმკლავდნენ.

მეორე ტაიმის 55-ე წუთზე დონისპირელებმა ანგარიში გახსნეს, რასაც ცემა-ტყეპა მოჰყვა. მასლოვმა კანიელას მიაწოდა, რომელმაც მასპინძელთა მეკარე არიმშევთან ჯაჯგურში გოლი გაიტანა. მსაჯმა ვალენტინ ივანოვმა ოდნავ დაახანა და ხელი ცენტრისკენ გაიშვირა.

რაო? გოლიო? იხუვლეს მასპინძლებმა და ივანოვს მიუხდნენ. კანიენდამ ბურთი ხელით რომ გაისწორა, თვალები...

მთავარი არბიტრი გვერდით მსაჯთან გაიქცა. ისაუბრეს და გოლი გააუქმეს. შედეგად როსტოველები გაცოფდნენ და მერე უკვე მათ შეუტიეს ივანოვს. ანჟელები მის დამცველებად გადაიქცნენ და მოედანზე ჯგუფური ჩხუბი ატყდა. ასე, რომ გამშველებელი არავინ იყო, სანამ საქმეში მწვრთნელ-პოლიციელები არ ჩაერივნენ.

ომი ჩაცხრა და მოედანზე მატჩის ინსპექტორი ბუდოგოსკი შევიდა. მან მსაჯებს და ორივე გუნდის ვიდეოკამერიან ოპერატორებს უხმო. ფირი დაატრიალეს და ნახეს, რომ კანიედას ხელით უთამაშია — გოლი არ ჩათვალეს, რის გამოც როსტოველები მთავარმა მწვრთნელმა, ბალახნინმა ძლივს დააწყნარა. რუსეთის ფეხბურთის ისტორიაში მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა, თუმცა მახაჩყალელებს ვიდეოფირმაც ვერ უშველა. 75-ე წუთზე მასლოვმა გამარჯვებისა მაინც გაიტანა.

**ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

# შვედმა შვედიო

### იუჰანსონმა აიგნერის მემკვიდრედ ოლსონი გამოაცხადა



ლარს-კრისტერ ოლსონი

**ᲣᲔᲤᲐᲡ** გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა ჯერ კიდევ მარტში თქვა, დავიღალე და წლის ბოლოს გადავდგებიო. დაიღლებოდა, აბა, რა იქნებოდა — აიგნერი 59 წლისაა და აქედან 34 წელი უეფაში გაატარა.

ცხადია, რომ უეფაში უნდა დაფაცურებულიყვნენ და აიგნერის მემკვიდრის ძიებას შესდგომოდნენ. ეძებეს, ეძებეს და გუშინ იპოვეს. გენერალური მდივნის პოსტს უეფას პროფესიული ფეხბურთისა და მარკეტინგის დირექტორი ლარს-კრისტერ ოლსონი ჩაიბარებს.

ოლსონი შვედია, ისევე როგორც უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი. ის 53 წლისაა და უეფაში სამი წელია, მუშაობს. იქამდე ოლსონი შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი იყო. პროფესიით ბიზნეს-მენეჯერია, 1992 წელს კი შვედეთში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის დირექტორი გახლდათ.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ**

*ზოგიერთი აღმოსავლური რელიგიის მიმდევართ და სამხრეთ ამერიკის ინდიელთა უმრავლესობას ერთი ფრიად უცნაური მოვლენისა მტკიცედ სჯერათ: მიწიერი ცხოვრების დსრულების ჟამს (ესე იგი, გარდაცვლების შემდეგ) მავანი და მავანი კაციშვილი შესაძლოა, კვლავ დაუბრუნდეს მშობლიურ დედამიწას, მაგრამ პიროვნული ცოდვა-მადლიდან გამომდინარე, მისი რეინკარნაცია (სულის გადასვლა ახალ სხეულში) ადამიანის გარდა ცხოველში, მწერსა და მცენარეშიც შეიძლება მოხდეს! 70 წლის ხესუს ხილი ხილი გარდაცვალებას ჯერ არ აპირებს (ღმერთმა დაიფაროს, რას ვერჩით ამ ღირსეულ აგრესიულ კაბალიეროს!) და აღმოსავლურ რელიგიებთანაც, ალბათ, ზერელე დამოკიდებულება აქვს, მაგრამ 2003 წლის 21 მაისს, მისი რეინკარნაცია ნაწილობრივ მაინც განხორციელდა — 16-წლიანი კარიერის შემდეგ წინა ცხოვრებაში მადრიდის „ატლეტიკოს" ლომ-აფთარ პრეზიდენტად წოდებული სენიორ ხესუსი ნებაყოფლობით თმობს თავის საპატიო სავარძელს და ამიერიდან მხოლოდ ლომ-აფთარი ხესუს ხილი ხილი იქნება!*

# შემჭამეს!

## თქვა ხილმა და წავიდა




REUTERS

**მართალია**, „ათლეტთა" უმაღლეს თანამდებობას იგი 15 ივნისს, „ატლეტიკო" — „რეალის" მორიგი დერბის შემდეგ დატოვებს, მაგრამ სიტყვა სიტყვაა და წილი უკვე ნაყარია! აყალმაყალის მოყვარულმა ბერიკაცმა გულშემატკივართა უმადურობას, პრესას და ჯიუტ ესპანურ მართლმსაჯულებას საბოლოოდ აქცია ზურგი.

„ყელში ამომივიდა ჩემი მისამართით გამოთქმული სხვადასხვა ბრალდება. თანამდებობას „ატლეტიკოს" საკეთილდღეოდ ვტოვებ" — უთხრა ხილმა ესპანურ „მარკას". მოხუცი პრეზიდენტის ექსცენტრული სახელი ესპანეთის საზღვრებს გარეთაც კარგადაა ცნობილი მრავალი სასამართლო პროცეს-გარჩევის „წყალობით", სადაც ხესუსი მუდამ ბრალდებულის სკამთან იყო დამსაკაცებული.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ამა წლის თებერვალში, ესპანეთის ნაციონალურმა სასამართლომ ხილს სამნახევარი წელი მიუსაჯა კლუბის ფინანსების ბოროტად გამოყენებისა და ბუღალტრული ხარჯთაღრიცხვის გაყალბებისთვის. მართლმსაჯულებამ მამას წელიწადნახევრიანი ვადით შვილი — „ატლეტიკოს" გენერალური დირექტორი, მიგელ ანხელ ხილი და კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ენრიკე სერესოც მიუსვა გვერდით. მოსამართლის ვერდიქტის გამოტანისთანავე ბრალდებულთა ადვოკატებმა განაჩენი გაასაჩივრეს.

70-წლიანი ცხოვრება-მოღვაწეობის განმავლობაში დაუდგრომელი ხესუსი 80-ზე მეტჯერ იყო სამართალში მიცემული და კასტილიური საპყრობილეც მრავალჯერ მოუნახულებია. შარშანდელ გაზაფხულამდე „ატლეტიკოს" პრეზიდენტობას ქალაქ მარბელას მერობას კარგად უთავსებდა. მერე საქალაქო ხაზინამ 26 მილიონი ევრო მოისაკლისა და ტრადიციისამებრ, ხილის გაუმაძღრობაზე მიიტანეს ეჭვი. სასამართლომ კვლავ სცადა მისი ხაფანგში გამომწყვდევა, მაგრამ ყოვლისშემძლე ადვოკატებმა მხოლოდ ერთკვირიანი პატიმრობის შემდეგ დაუბრუნეს „ატლეტიკოს" მოსამართლეთა ნერვებზე მორბენალი მოხუცი.

პრეზიდენტი ატეხილმა აჟიოტაჟმა გაანაწყენა და განაცხადა, რომ სასამართლო დავიდარაბის ჩაწყნარების შემდეგ ერთი-ორი წლით ოკეანისგადაღმა — ბრაზილიაში მოძებნიდა თავშესაფარას. „ჯერ გადადგომის ოფიციალური განცხადება არ დამიწერია, მაგრამ ამ აურზაურისგან უკიდურესად დავიღალე. დემაგოგებთან ბრძოლის არავითარი სურვილი არ მაქვს და პრეზიდენტობის დათმობაც ამიტომ გადავწყვიტე" — გულწრფელად ღაღადებს ციხე-სასამართლოთა ხშირი სტუმარი და ყალთაბანდობის გროსმაისტერი.

1987 წლის 27 ივნისიდან მოყოლებული, ოდეს „ატლეტიკოს" პრეზიდენტი გახდა, ახალ-ახალი და ზოგჯერ გიჟური იდეებით შეიარაღებული ხილი გრიგალივით შემოიჭრა საფეხბურთო სამყაროში. 1991 და 92 წლების სამეფო თასი, 1996 წლის პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა და სამეფო თასი, 1987 წლის ისტორიული გამარჯვება მადრიდის „რეალთან" — 4:0 ყოველივე ეს ხესუსის პრეზიდენტობის ჟამს ხდება, მაგრამ მასთან „თეთრ-წითელთა" სეგუნდადივიზიონში გავარდნაც არის დაკავშირებული. ეს არის კაცი, რომელსაც მსაჯთა და ცალკეულ პიროვნებათა მიმართ ცოფიანი საქციელის გამო ესპანეთის სხვადასხვა სტადიონებზე გამოჩენას უკრძალავდნენ და რომელიც „ატლეტიკოს" თავკაცობისას კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მწვრთნელებს ხელთათმანებივით იცვლიდა. ლუის არაგონესი, ლუის სეზარ მენოტი, რადომირ ანტიჩი, ხავიერ კლემენტე, ჟაირ პერეირა, ლუის რომერო, არმანდო უფარტე — აი, იმ დამრიგებელთა არასრული სია, „ატლეტიკოს" სახეიროდ თუ საუბედუროდ ხესუსთან რომ თანამშრომლობდნენ. მათი რიცხვი ხილის სასამართლო პროცესებივით იზრდებოდა. 16 წელიწადში 26 მწვრთნელი ჩააბარა ისტორიას. შარშანდელ სეზონში „ვილიარეალთან" 2:4 წაგებული თამაშის შემდეგ გუნდში ვითარება უკიდურესად დაიძაბა და ხესუს ხილი ხილმა, „ატლეტიკოს" სპორტულმა დირექტორმა პაულო ფუტრემ და მწვრთნელმა ლუის არაგონესმა „თეთრ-წითელთა" ბანაკში ნორმალური სიატუაციის აღსადგენად ხელშეკრულება გააფორმეს. მაშინ მოხუცი ჯერ კიდევ ძლიერად იყო, მაგრამ ახლა სხვადასხვა ფრონტებიდან შეტევებმა ეტყობა, სერიოზულად გადაქანცეს.

„მეტი აღარ შემიძლია. 70 წლის გავხდი და ამდენი გულისხეთქვა ჩემთვის უკვე მავნებელია. ფინანსების და პატივისცემის ნაკლებობას არ განვიცდი და შესვენებისთვისაც მზად გახლავართ" — განუცხადა ხესუსმა რადიო „მარკას". ქალაქ მადრიდის მუნიციპალიტეტიც საკმაოდ უდიერად მოიხსენია: „მაწანწალა ძაღლებივით იქცევიან. მათთვის მადრიდული გუნდი მხოლოდ „რეალია", დანარჩენს კი არავითარ ყურადღებას არ უთმობენ. არ მახსოვს, რომ ქალაქის თავკაცები „ატლეტიკოს" რაიმე საქმეში დახმარებოდნენ".

დასასრულ, უკვე ნახსენებ ენრიკე სერესოს სიტყვებს შემოგთავაზებთ: „ხესუსი ის ადამიანია, რომელიც „ატლეტიკოს" და მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში კარის მძლავრი გაჯახუნებით დაიკავებს ადგილს. მას უზარმაზარი და ყოვლისმომცველი გული აქვს".

**ლადო ხომერიკი**



## Copa Toyota Libertadores 2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

#### მეოთხედფინალი. 1 მატჩები

**კრუზ ასული (მექსიკა) 2:2 სანტოსი (ბრაზილია)**

1:0 პალენსია (17), 1:1 რენატო (21), 2:1 პალენსია (50), 2:2 დიეგუ (76)

**კრუზ ასული:** ო. პერესი, ჟ. გუტიერესი, მ. ბრაუნი, გალინდო (ოსორიო 38), ხ. ერნანდესი, ჟ. ხიმენესი, დავინო, ტ. კამპოსი, ჩიტივა (ორტისი 83), პალენსია, სეპედა (კაჩო 63)

**სანტოსი:** ჟულიო სერჟიო, რეგინალდო (ნენე 46), ანდრე ლუისი, ალექსი, ლეო, პაულუ ალმეიდა, რენატო, ელანო, დიეგუ, რობინიო (ფაბიანო 62), დუგლასი (ვილიამი 66)

მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)

80 000 მაყურებელი

**კობრელოა (ჩილე) 1:2 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

1:0 ფუენტესი (10), 1:1, 1:2 ბაროს შელოტო (14, 77)

**კობრელოა:** ნ. ტაპია, ბ. გონსალესი, ფუენტესი, დ. ვერონი (დინამარკა 60), რ. პერესი, მელენდესი, ხუან გონსალესი, დიასი (კორნეხო 60), მარტელი, ხაიმე გონსალესი (მადრიდი 61), გალაზი

**ბოკა ხუნიორსი:** აბონდანსიერი, კ. როდრიგესი, სკიავი, ბურდისო, კროზა, ბატალია, კასკინი, კანია, ტევესი (ა. მორენო 89), გ. ბაროს შელოტო (გ. პინტუ 88), მარსელო დელგადო

მსაჯი: მარსიო ფრეიტაში (ბრაზილია)

50 000 მაყურებელი

# დიეგუუუ!



REUTERS

სანტოსელმა დიეგუმ 40 მეტრიდან გაიტანა

**სულელი** კი არ იყო ემერსონ ლეაო, „სანტოსის" მწვრთნელი, საერთო ბრაზილიური ჩემპიონატის ბოლო ტურში ჭაბუკი ვარსკვლავი დიეგუ რომ არ ათამაშა, დაისვენოს, „კრუზ ასულთან" დამჭირდებაო.

მექსიკურ „კრუზ ასულს" პელეს მშობლიური კლუბი ლიბერტადორესის თასის მეოთხედფინალში გადაეყარა. „კრუზ ასული" ის გუნდია, შარშანწინ თასის ფინალში რომ გაადწია, ხოლო „სანტოსს" აქამდე მთელი 19 წელი არ ღირსებია ლიბერტადორესის თასზე თამაში.

მეხიკოს „აცტეკაზე", სადაც თავის დროზე პელეს საგმირო საქმეები ჩაუდენია, ახლა იმავ ათი ნომრით მოთამაშე დიეგუმ იგმირა. გამობარტყებულ მექსიკელ მეკარე ოსკარ პერსს 40 მეტრიდან გაუტანა. პერესი ბურთის გორებით თავის საჯარიმოდან გამოვიდა, ათიოდე მეტრით გასცდა და მერეღა ინება დარტყმა. ბურთი დიეგუს მიუვიდა და კარისკენ დაუფიქრებლად დაარტყა. მოგეხსენებათ, ბურთი ადამიანზე სწრაფია, ამიტომ სანამ პერესი უკან დაბრუნებას მოასწრებდა, ბურთი უკვე ბადეში იყო.

ეს გოლი ამ მატჩში „სანტოსის" მეორე იყო. იქამდე მასპინძლები ორჯერ დაწინაურებულიყვნენ. მექსიკელთა ორივე გოლი ხუან ფრანსისკო პალენსიამ გაიტანა. სანტოსელთაგან კი პირველი რენატომ გაქვითა.

სხვა მეოთხედფინალურ მატჩში კოლუმბიური „კობრელოა" შინ „ბოკა ხუნიორსთან" დამარცხდა.

1981 და 82 წლების თასის ფინალისტი „კობრელოა" მეათე წუთზე დაწინაურდა, თუმცა გახარება დიდხანს არ დასცალდა. ოთხიოდ წუთში ბოკელმა გილერმო ბაროს შელოტომ გაათანაბრა, მოგვიანებით კი მეორეც გაიტანა და საპასუხო მატჩის წინ ხასიათი გაიკეთა. შევნიშნოთ, რომ ერთი კვირით ადრე, მერვედფინალში იმავ შელეტომ სამი გოლი უთავაზა ბრაზილიურ „პაისანდუს". ეგებ საინტერესო იყოს ის გარემოებაც, რომ შელოტომ წინა სამი გოლი საშინელ სიცხეში, ამაზონის ნაპირთან გაშენებულ ჩახუთულ ქალაქ ბელემში გაიტანა. ეს ორი გოლი კი მან ზღვის დონიდან 2600 მეტრის სიმაღლეზე, ატაკამას უდაბნოში მდებარე ქალაქ კალამაში შეაგდო.

„ბოკამ" მოიგო, თუმც სულ მცირე, ორი გოლის გატანაც მართებდა. ორსავე შემთხვევაში კარლოს ტევესს არ გაუმართლა, ჯერ ძელს გაარტყა, მერე ხარიხას. მაგრამ ისიცაა, რომ „იტაბნოს მელიებს", ასე ეძახიან „კობრელოას", გათანაბრების ურეალურესი შანსი მიეცა: მე-80 წუთზე ბოკელმა მეკარე რობერტო აბონდანსიერიმ ფერნანდო მარტელის პენალტი აუღო.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS

ბოკელ კარლოს ტევესს (მარცხნივ) ბედი არ ჰქონია, ორჯერ ძელს გაარტყა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტური

24 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | დორტმუნდი-კოტბუსი | 1,03 | 7,0 | 15,0 | 1 | 1 | 4,77 |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1,5 | 3,5 | 5,6 | 1,04 | 1,18 | 2,15 |
| 18.30 | 003 | შალკე-ბაიერნი | 2,1 | 3,4 | 2,7 | 1,29 | 1,18 | 1,5 |
| 18.30 | 004 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,39 | 1,27 | 1,36 |
| 18.30 | 005 | არმინია-ჰანოვერი | 1,5 | 4,0 | 5,0 | 1,09 | 1,15 | 2,22 |
| 18.30 | 006 | ჰამბურგი-ჰანზა | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1,15 | 1,28 | 3,21 |
| 18.30 | 007 | მიუნხენი-ბოხუმი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| 18.30 | 008 | ჰერტა-კაისერსლაუტერნი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXIV ტური

25 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | ტრირი-უნიონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 011 | კარლსრუე-ფიურტი | 2,3 | 3,3 | 2,3 | 1,35 | 1,15 | 1,35 |
| 18.00 | 012 | დუისბურგი-ფრაიბურგი | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 18.00 | 013 | ალემანია-სტ.პაული | 1,6 | 3,5 | 4,6 | 1,09 | 1,18 | 1,98 |
| 18.00 | 014 | აინტრახტი-როიტლინგენი | 1,35 | 4,0 | 6,5 | 1 | 1,11 | 2,47 |
| 18.00 | 015 | ლიუბეკი-ვალდჰოფი | 1,5 | 3,8 | 5,0 | 1,07 | 1,15 | 2,15 |
| 18.00 | 016 | ბრაუნშვაიგი-მაინცი | 2,5 | 3,4 | 2,15 | 1,44 | 1,15 | 1,31 |
| 18.00 | 017 | ბურგჰაუზენი-კიოლნი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXII ტური

23 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 019 | ურდინგენი-ესენი | 3,5 | 3,3 | 1,85 | 1,69 | 1,21 | 1,18 |
| 22.00 | 020 | ლევერკუზენი(მ)-ჰამბურგი(მ) | 2,35 | 3,4 | 2,05 | 1,38 | 1,09 | 1,27 |
| 22.30 | 021 | კიოლნი(მ)-დინამო | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| | | 24 მაისი | | | | | | |
| 17.00 | 022 | აუე-კილი | 1,15 | 3,5 | 6,0 | 1 | 1 | 2,21 |
| 17.00 | 023 | პადერბორნი-ვატენშაიდი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 17.00 | 024 | ვერდერი(მ)-მიუნსტერი | 1,95 | 3,4 | 3,2 | 1,23 | 1,21 | 1,64 |
| 17.00 | 025 | ოსნაბრიუკი-ფერლი | 1,4 | 4,0 | 6,0 | 1,03 | 1,13 | 2,4 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXVI ტური

23 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 036 | ზიგენი-ჰოფენჰაიმი | 1,85 | 3,4 | 3,2 | 1,19 | 1,17 | 1,64 |
| 22.30 | 028 | ერფურტი-ოფენბახი | 1,8 | 3,3 | 3,4 | 1,16 | 1,17 | 1,67 |
| | | 24 მაისი | | | | | | |
| 17.30 | 029 | ზაარბრიუკენი-რეგენსბურგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.30 | 030 | შვაინფურტი-ვეენი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| 17.30 | 031 | აუგსბურგი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| 17.30 | 032 | ფიურენდორფი-ბაიერნი(მ) | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |

### ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი
### ფინალი (კარდიფში).

26 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 037 | შეფილდი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი
### ფინალი (კარდიფში).

25 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 038 | კარდიფი-ქუინს პარკი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

### 'ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი
### ფინალი (კარდიფში).

24 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 039 | ბორნმუთი-ლინკოლნი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |

### იტალია. სერია "A"
### XXXIV ტური

24 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 040 | ბოლონია-რეჯინა | 4,0 | 3,4 | 1,5 | 1,83 | 1,09 | 1,04 |
| 18.00 | 041 | ბრეშა-მოდენა | 3,0 | 1,3 | 4,0 | 1 | 1,71 | 1 |
| 18.00 | 042 | კომო-ტორინო | 2,1 | 2,5 | 4,0 | 1,14 | 1,37 | 1,53 |
| 18.00 | 043 | ემპოლი-პარმა | 6,0 | 3,4 | 1,4 | 2,17 | 1,13 | 1 |
| 18.00 | 044 | ინტერი-პერუჯა | 1,3 | 3,2 | 12,0 | 1 | 1,17 | 2,52 |
| 18.00 | 045 | იუვენტუსი-კიევო | 2,7 | 2,5 | 2,2 | 1,29 | 1,21 | 1,17 |
| 18.00 | 046 | პიაჩენცა-მილანი | 3,0 | 2,6 | 2,1 | 1,39 | 1,23 | 1,16 |
| 18.00 | 047 | რომა-ატალანტა | 2,7 | 3,3 | 1,95 | 1,48 | 1,13 | 1,22 |
| 18.00 | 048 | უდინეზე-ლაციო | 1,55 | 3,6 | 4,4 | 1,08 | 1,14 | 1,98 |

### იტალია. სერია C1/A. პლეი-ოფი. I მატჩები.

25 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 064 | პადოვა-ალბინოლეფე | 2,25 | 2,6 | 3,6 | 1,2 | 1,38 | 1,5 |
| 19.30 | 065 | პიზა-ჩეზენა | 2,15 | 2,7 | 3,8 | 1,19 | 1,37 | 1,57 |

### იტალია. სერია C1/A. პლეი-აუტი. I მატჩები.

25 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 066 | ალძანო-ლუკეზე | 2,4 | 2,6 | 3,3 | 1,24 | 1,38 | 1,45 |
| 19.30 | 067 | კარარეზე-ვარეზე | 2,0 | 2,7 | 4,4 | 1,14 | 1,37 | 1,67 |

### იტალია. სერია C1/B. პლეი-ოფი. I მატჩები.

25 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 068 | სამბენედეტეზე-პესკარა | 2,5 | 2,6 | 3,1 | 1,27 | 1,38 | 1,41 |
| 19.30 | 069 | ტერამო-მარტინა | 2,15 | 2,6 | 4,0 | 1,17 | 1,39 | 1,57 |

### იტალია. სერია C1/B. პლეი-აუტი. I მატჩები.

25 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 070 | აკილა-პეზარო | 2,15 | 2,6 | 4,0 | 1,17 | 1,39 | 1,57 |
| 19.30 | 071 | სორა-ჯულიანოვა | 2,1 | 2,6 | 4,2 | 1,16 | 1,4 | 1,6 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXXV ტური

24 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 072 | ატლეტიკო-ვილიარეალი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 073 | ბილბაო-რასინგი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.45 | 074 | სელტა-დეპორტივო | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 24.00 | 078 | რაიო-ოსასუნა | 2,45 | 3,2 | 2,25 | 1,38 | 1,17 | 1,32 |
| 00.30 | 075 | ვალენსია-რეალი | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| | | 25 მაისი | | | | | | |
| 21.00 | 076 | ესპანიოლი-ალავესი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 077 | მალიორკა-სევილია | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 22.00 | 079 | უელვა-ბარსელონა | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 22.30 | 080 | ბეტისი-ვალიადოლიდი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 24.00 | 081 | მალაგა-სოსიედადი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXXVII ტური

24 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 082 | ალბასეტე-კომპოსტელა | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 21.30 | 083 | ლას პალმასი-ლევანტე | 2,2 | 2,7 | 3,6 | 1,21 | 1,36 | 1,54 |
| 22.00 | 089 | ელჩე-ალმერია | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 23.00 | 090 | კორდობა-მურსია | 2,8 | 2,8 | 2,6 | 1,4 | 1,34 | 1,34 |
| 24.00 | 088 | ეხიდო-ფეროლი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| | | 25 მაისი | | | | | | |
| 15.00 | 084 | სერესი-სარაგოსა | 2,4 | 2,8 | 3,1 | 1,29 | 1,35 | 1,47 |
| 15.00 | 085 | ლეგანესი-ოვიედო | 2,1 | 2,8 | 3,4 | 1,19 | 1,29 | 1,53 |
| 22.00 | 086 | ბადახოსი-ტერასა | 2,15 | 2,8 | 3,6 | 1,21 | 1,34 | 1,57 |
| 21.30 | 087 | სალამანკა-ტენერიფე | 2,2 | 2,7 | 3,6 | 1,21 | 1,36 | 1,54 |
| 21.00 | 091 | ნუმანსია-ეიბარი | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 21.00 | 092 | სპორტინგი-ხეტაფე | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური

24 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 106 | ლანსი-ბასტია | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 23.30 | 107 | ლიონი-გენგამი | 1,75 | 3,0 | 3,5 | 1,1 | 1,16 | 1,61 |
| 23.30 | 108 | ბორდო-ლილი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |
| 23.30 | 109 | ნანტი-მარსელი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.30 | 110 | რენი-მონპელიე | 1,5 | 3,3 | 6,5 | 1,03 | 1,21 | 2,18 |
| 23.30 | 111 | ლე ავრი-ნიცა | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 23.30 | 112 | ოსერი-პსჟ | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 23.30 | 113 | სოშო-სედანი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| 23.30 | 114 | აიაჩო-სტრასბური | 1,5 | 3,0 | 7,0 | 1 | 1,23 | 2,09 |
| 23.30 | 115 | მონაკო-ტრუა | 1,2 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,04 | 2,66 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 119 | ბოვე-შატორუ | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.30 | 120 | კრეტეი-ნანსი | 1,6 | 2,7 | 5,6 | 1 | 1,24 | 1,82 |
| 23.30 | 121 | ლე მანი-ამიენი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 122 | ლორიანი-რეიმსი | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |
| 23.30 | 123 | მეცი-გენიონი | 1,3 | 3,6 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,57 |
| 23.30 | 124 | ნიორი-კლერმონი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 23.30 | 125 | სტ.ეტიენი-გრენობლი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 23.30 | 126 | ტულუზი-ისტრი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 23.30 | 127 | ვალანსი-კაენი | 2,4 | 2,8 | 3,1 | 1,29 | 1,35 | 1,47 |
| 23.30 | 128 | ვასკეალი-ლავალი | 1,8 | 2,9 | 3,6 | 1,11 | 1,19 | 1,6 |

### პორტუგალია. I ლიგა. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 01.30 | 129 | გიმარაეში-ბეირა მარი | 1,95 | 3,2 | 3,0 | 1,21 | 1,18 | 1,54 |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 130 | სპორტინგი-სეტუბალი | 1,2 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,04 | 2,66 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 131 | ბრაგა-პორტუ | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 20.00 | 132 | მარიტიმუ-მორეირენსე | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 20.00 | 133 | ვარზიმი-აკადემიკა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.00 | 134 | ფერეირა-სანტა კლარა | 2,0 | 3,2 | 3,0 | 1,23 | 1,2 | 1,54 |
| 22.30 | 135 | ბელენენსეში-ნასიონალი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 01.00 | 136 | ჟილ ვისენტე-ბენფიკა | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 00.30 | 137 | ბოავიშტა-ლეირია | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |

### პორტუგალია. II ლიგა. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 15.00 | 141 | ალვერკა-კოვილია | 1,6 | 3,1 | 7,0 | 1,05 | 1,3 | 2,14 |
| 20.00 | 142 | ავეში-მადეირა | 2,0 | 3,4 | 2,3 | 1,25 | 1,06 | 1,37 |
| 20.00 | 143 | ნავალი-ოვარენსე | 1,25 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,08 | 2,66 |
| 20.00 | 144 | შავეში-რიუ ავე | 2,8 | 2,6 | 2,8 | 1,34 | 1,4 | 1,34 |
| 20.00 | 145 | ფარენსე-მარკუ | 1,85 | 2,5 | 4,8 | 1,06 | 1,33 | 1,64 |
| 20.00 | 146 | სალგეირუში-ლეცა | 2,0 | 3,4 | 2,3 | 1,25 | 1,06 | 1,37 |
| 20.00 | 147 | ამადორა-პენაფიელი | 1,35 | 4,0 | 6,5 | 1 | 1,11 | 2,47 |
| 20.00 | 148 | მაია-ფელგეირაში | 2,0 | 3,4 | 2,3 | 1,25 | 1,06 | 1,37 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 153 | ექსელსიორი-ვიტესი | 2,7 | 3,4 | 2,3 | 1,5 | 1,24 | 1,37 |
| 17.30 | 154 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 17.30 | 155 | ბრედა-ალკმაარი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 17.30 | 156 | ნაიმეგენი-ზვოლე | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 17.30 | 157 | ტვენტე-აიაქსი | 6,5 | 4,0 | 1,45 | 2,47 | 1,18 | 1,06 |
| 17.30 | 158 | როდა-ვალვაიკი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 17.30 | 159 | ჰერენვენი-როზენდალი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 17.30 | 160 | გრააფსხაპი-გრონინგენი | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |
| 17.30 | 161 | პსვ-უტრეხტი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 163 | ვეენდამი-ჰერაკლესი | 3,0 | 3,3 | 2,0 | 1,57 | 1,2 | 1,24 |
| 23.00 | 164 | ემენი-ჰელმონდი | 1,5 | 3,8 | 5,0 | 1,07 | 1,15 | 2,15 |
| 23.00 | 165 | დენ ბოსხი-მაასტრიხტი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 23.00 | 166 | დორდრეხტი-სიტარდი | 2,15 | 3,4 | 3,0 | 1,31 | 1,25 | 1,59 |
| 23.00 | 167 | ვოლენდამი-ოსი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 168 | იგლსი-კამბური | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 23.00 | 169 | სპარტა-ეინდჰოვენი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 170 | ჰაარლემი-ტელსტარი | 1,95 | 3,5 | 3,3 | 1,25 | 1,22 | 1,69 |

### ბელგია. I დივიზიონი. XXXIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 174 | გენკი-გენტი | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |
| 23.00 | 175 | ვესტერლო-შარლერუა | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| 23.00 | 176 | ლუვიე-მონსი | 2,5 | 2,7 | 2,7 | 1,29 | 1,29 | 1,35 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 178 | სტანდარდი-ანტვერპენი | 1,4 | 4,2 | 7,0 | 1,04 | 1,16 | 2,62 |
| 18.00 | 179 | ბევერენი-ანდერლეხტი | 4,2 | 3,4 | 1,7 | 1,87 | 1,21 | 1,13 |
| 18.00 | 180 | ბეერსხოტი-ლიერსი | 2,8 | 3,4 | 2,25 | 1,53 | 1,24 | 1,35 |
| 23.00 | 181 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |

### ჩეხეთი. XXIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 17.25 | 195 | ბანიკი-იაბლონეცი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.25 | 196 | სინოტი-ბლშანი | 1,8 | 2,4 | 4,6 | 1,02 | 1,29 | 1,57 |
| 17.25 | 197 | ლიბერეცი-პ.კრალოვე | 1,05 | 5,0 | 10,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 17.25 | 198 | ბრნო-ზლინი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 17.25 | 199 | ბუდეიოვიცე-პრჟიბრამი | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| 17.25 | 200 | სპარტა-სიგმა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 17.25 | 201 | ტეპლიცე-ბოჰემიანსი | 1,75 | 3,8 | 2,8 | 1,19 | 1,07 | 1,61 |
| 17.25 | 202 | სლავია-ჟიჟკოვი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |

### პოლონეთი. XXVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 215 | რუხი-გროცლინი | 3,0 | 3,2 | 2,15 | 1,54 | 1,25 | 1,28 |
| 21.00 | 216 | კატოვიცე-ოდრა | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 22.00 | 217 | ვიძევი-გურნიკი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 22.00 | 218 | ამიკა-ზაგლებე | 2,0 | 3,5 | 2,2 | 1,27 | 1,04 | 1,35 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 220 | გარბარნია-ლეგია | 3,2 | 3,4 | 1,95 | 1,64 | 1,21 | 1,23 |
| 20.00 | 221 | პლოცკი-ვისლა | 3,4 | 2,3 | 1,85 | 1,37 | 1,19 | 1,02 |

### თურქეთი. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 225 | მალათია-გიოზთეფე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 226 | გენჩლერბირლიგი-სამსუნი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 227 | დენიზლი-ტრაბზონი | 2,5 | 3,3 | 2,15 | 1,42 | 1,15 | 1,3 |
| 19.00 | 228 | ფენერბაჰჩე-დიარბაქირი | 1,25 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,08 | 2,66 |
| 19.00 | 229 | ელაზიგი-ისთანბული | 1,55 | 3,8 | 4,0 | 1,1 | 1,11 | 1,94 |
| 19.00 | 230 | ადანა-ბურსა | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 19.00 | 231 | ბეშიქთაში-გალათასარაი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 21.00 | 232 | გაზიანთეფი-ანკარაგიუჯიუ | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 234 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 19.00 | 235 | ჰიბერნიანი-პარტიკი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 236 | მოზერუელი-ლივინგსტონი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 237 | ჰართსი-დანდი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 238 | კილმარნოკი-სელტიკი | 10,0 | 5,0 | 1,2 | 3,33 | 1,07 | 1 |
| 19.00 | 239 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1,05 | 7,0 | 14,0 | 1 | 1 | 4,66 |

### დანია. XXIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 240 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 241 | ფარუმი-ესბიერგი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 18.00 | 242 | კიოგე-ორჰუსი | 3,0 | 3,4 | 2,15 | 1,59 | 1,25 | 1,31 |
| 18.00 | 243 | ოდენსე-ვიბორგი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 18.00 | 244 | სილკებორგი-ოლბორგი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 20.35 | 245 | ბრიონდბიუ-აკადემისკი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |

### ავსტრია. XXXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 246 | ბრეგენცი-რიდი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 18.30 | 247 | გრაცერი-ზალცბურგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 248 | პაშინგი-აუსტრია | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |
| 18.30 | 249 | რაპიდი-კერნტენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 250 | ადმირა-შტურმი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |

### შვეიცარია. A ჯგუფი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 21.45 | 255 | ქსამაქსი-ციურიხი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 21.45 | 256 | სერვეტი-ბაზელი | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| 21.45 | 257 | გრასჰოპერი-ვილი | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 21.45 | 258 | თუნი-იანგ ბოიზი | 3,2 | 3,3 | 2,0 | 1,62 | 1,23 | 1,24 |

### შვეიცარია. A/B ჯგუფი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 18.45 | 264 | დელემონი-ვადუცი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 18.45 | 265 | სტ.გალენი-სიონი | 1,15 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,66 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 273 | კონკორდია-შაფჰაუზენი | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| 20.30 | 274 | ვინტერთური-ვოლენი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 20.30 | 276 | ივერდონი-ბადენი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |

### რუსეთი. X ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 16.00 | 279 | შინიკი-ზენიტი | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| 16.00 | 280 | როტორი-რუბინი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 16.00 | 281 | ცსკა-მეტალურგი | 1,25 | 4,6 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,15 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 282 | ტორპედო-ურალანი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 16.00 | 283 | კრილია-ალანია | 1,3 | 3,5 | 6,5 | 1 | 1,08 | 2,27 |
| 16.00 | 284 | ლოკომოტივი-როსტსელმაში | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 16.00 | 285 | სატურნი-ჩერნომორეცი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 16.00 | 286 | სპარტაკი-დინამო | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| | | **შვედეთი. VIII ტური** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 293 | იორებრო-იოსტერი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 294 | აიკ-მალმიო | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 22.00 | 295 | ჰელსინგბორგი-იურგორდენი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| | | **ნორვეგია. VII ტური** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 300 | ოდ გრენლანდი-რესენბორგი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 21.00 | 301 | ბოდიო გლიმტი-ვოლერენგა | 1,9 | 3,5 | 3,4 | 1,23 | 1,21 | 1,72 |
| 21.00 | 302 | მოლდე-ტრომსიო | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| 21.00 | 303 | სოგნდალი-ალესუნდი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 304 | სოგნდალი-ალესუნდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 21.00 | 305 | ლინი-ვიკინგი | 2,4 | 3,4 | 2,5 | 1,4 | 1,22 | 1,44 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 306 | ლილესტრიომი-ბრანი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 307 | სტაბეკი-ბრინი | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| | | **შვედეთი. თასი. 1/16 ფინალი.** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 331 | იორგრიტე-ჰელსინგბორგი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 04.00 | 341 | ა.შ.შ.-უელსი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 04.00 | 602 | ოტავა-ნიუ ჯერსი | 2,25 | 3,2 | 2,7 | 1,32 | 1,22 | 1,46 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი.** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 618 | ბარსელონა-ალიკანტე | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| | | **კალათბურთი. NBA.** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 06.30 | 633 | დალასი-სან ანტონიო | 1,55 | 12,0 | 2,1 | 1,37 | 1 | 1,78 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | | | | | | | |
| 00.30 | 2102 | ვალენსია-რეალი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 00.30 | 2002 | ვალენსია-რეალი | 3,4 | 2,0 | 3,0 | 1,25 | 1,59 | 1,2 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

24 მაისი

00.30 2202 ვალენსია-რეალი ------------------ 1,8 ------------------------------ 1,8

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

24 მაისი

00.30 2402 ვალენსია-რეალი ------------------ 1,95 ---------------------------- 1,85

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 მაისი** | | | |
| 00.30 | 2502 | ვალენსია-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

---------------------------------------- კი ---------------------------------- არა

24 მაისი

00.30 2302 ვალენსია-რეალი ------------------ 1,65 ---------------------------- 1,95


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილის/ხიზაბავრას... ნისაბძლერიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | ნუცუბიძის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1[a] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ქავთარაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანების დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტყოფის ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი !) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, მას კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1[a] კორპუსი

კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30

საქართველოს 12 ჩემპიონატი

# საქართველოს ჩემპიონატი

## პლეი ოფი. ფინალი სამ მოგებამდე

## დინამო 1:1 ბასკო

# ბრაიკოვიჩმა ენა გაიტეხა და ანგარიში გატეხა

22 მაისი. სპორტის სასახლე

**დინამო 107:87 ბასკო**

29:18, 30:24, 23:24, 25:21

**დინამო:** აბრამიძე (12), ხოშტარია (18), ბეჟანიშვილი (22), ჩუბინიძე (10), ვენსკუნასი (15); ოგანესიანი (10), ჩხეიძე (9), თორთლაძე (9), მარკოიშვილი (2), მუჟე, მინაშვილი

**ბასკო:** ცინცაძე (17), კეშელავა (2), კეიდია (17), ბაბიაშვილი (20), შენგელია (3); ნიკოლაძე (13), ქარაბაკი (10), წოწელია (3), როდუმტა (2)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე; **კომისარი:** როლანდ ხომერიკი

საინტერესოა, რა ენაზე ესაუბრება დრაჟენ ბრაიკოვიჩი შეგირდებს, „დინამოს" ხორვატმა მწვრთნელმა არც რუსული იცის და ინგლისურსაც მაგრად ამტვრევს. ჩანს, მან კალათბურთის ენა იცის. სხვა საქმეა, ენობრივი ბარიერის გამო რამდენად სრულყოფილად იყენებს თავის ცოდნას. მაგალითად, გუშინ მან სულ სხვა გუნდი გაიყვანა მოედანზე, ვიდრე გუშინწინ. „დინამომ" საშუალო ხარისხის ქართული კალათბურთი აჩვენა და 20 ქულით მოუგო ერთი დღით ადრე მის 48 ქულით დამმარცხებელ ბათუმის „ბასკოს".

„დინამომ" რა ადვილადაც გუშინწინ წააგო, ისე იოლად მოიგო გუშინ და წონასწორობა აღადგინა. სერიის მომდევნო ორ თამაშს ბათუმი უმასპინძლებს. არაა გამორიცხული, სერიაში წონასწორობა შენარჩუნდეს. დიდი შანსია, ფინალისტებმა ბათუმშიც გაიყონ გამარჯვებები და ასეთ შემთხვევაში სერიის მეხუთე და ორივესთვის გადამწყვეტ მატჩს სპორტის მამა სასახლე უმასპინძლებს.

სპორტის სასახლეში ბრაიკოვიჩი არც ისე ემოციური ჩანს, ვიდრე ვერის ბაღში, „ბასკოსთან" ნაკლებ გამწარებით იქნევს ხელებს და დარბის მოედნის პირას, ვიდრე ვთქვათ, სსუ-სთან. თუმც ის მაინც ვერ ძლებს 40 სუფთა წუთის სკამზე აგერ, ამ მატჩის პირველ მეოთხედში თამაშის მსვლელობისას მოედნის გვერდითი ხაზის გადაკვეთისთვის მსაჯ ზაზა მაჩალაძისგან ტექნიკურიც მიიღო. ამან ოდნავ დააშოშმინა ემოციური ხორვატი, სკამიდან წამოხტომებსაც უკლო, თანაც მერე მისი „დინამო" მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდა. ბრაიკოვიჩი ალბათ დიდ შესვენებასაც გრძნობდა, რომ ამ თამაშს ხელიდან არ გაუშვებდა.

ფინალური სერიის მეორე მატჩი ბევრით ჰგავდა პირველს, ეგაა, მონაწილეებს როლები გაეცვალათ. რა ხელში მოიგდო „დინამომ" აღარ დაითმო მატჩის სადავეები. არადა, დასაწყისი „ბასკოსი" იყო. „ბასკომ" კვლავ აქტიური დაცვის კედელი და საწყისი სამნახევარი წუთი 11:4 მოიგო. ბრაიკოვიჩმა კი ერთი დღის წინანდელივით აილო წუთმესვენება და შეეცადა შეძლებისდაგვარად გადაეცა თავისი ნააზრევი შეგირდებისთვის. ვერ ვიტყვით, რამდენად არგო მისმა ნათქვამმა დინამოელებს და საერთოდ რა უთხრა მათ, მაგრამ „დინამომ" რამდენიმე წუთში მოაგვარა საქმე. მასპინძელთა პრიომეტრი აამოქმედა, გააქტიურდა და ბურთის საღუძლიანი გათამაშება იწყო. „ბასკოს" ზონურ დაცვაში ბზარები გაჩნდა და დინამოელებმა ეს ბზარები ირაკლი ხოშტარიას მეცადინეობით გააფართოვეს. ხოშტარიამ ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ ძალისმიერ გარღვევაზე ორი ქულა გააკეთა და ანგარიში 15:15 გაათანაბრა. იქ ვენსკუნასმა ორი საჯარიმოთი 17:15 დააწინაურა „დინამო" და მას შემდეგ ლიდერი აღარ შეცვლილა. დაბალი თბილისელები — ხოშტარია, აბრამიძე და თორთლაძე თავიანთ საქმეს აკეთებდნენ და „დინამოს" პოზიციური შეტევა დალაგდა, „ბასკოს" კალათშიც რამდენიმე ბურთი ჩავარდა. ბათუმლები შესამჩნევად ჩამორჩნენ მეტოქეს და იძულებულები გახდნენ, ტემპის მატებაზე და თამაშის „არევაზე" ეზრუნათ. მათ მოშალეს „ყრუ" დაცვა და ამით ისევ „დინამომ" მოიგო, რამდენიმე სწრაფი შეტევა განავითარა და საწყისი მეოთხედი 11-ქულიანი წინსწრებით დაასრულა.

მეორე მეოთხედიც „დინამოსი" იყო. აქ თბილისელებს შორი და საშუალო სროლებიც წაუვიდათ და შეძლეს სხვაობისთვის რამდენიმე ქულის წამატება. ბეჟანიშვილის ორი და კიდევ ორი სამქულიანით „დინამომ" სხვაობა 20 ქულამდე აწია. ტაიმის ბოლოს სტუმარი ლევან ქარაბაკის სამქულიანმა მატჩის ინტრიგა შეუნარჩუნა, რომელიც მესამე მეოთხედში სტუმართა ყმაწვილმა გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ გაალვივა.

17 წლის ცინცაძე ბათუმელთა შეტევებსა დამაჯერებლად გაუძღვა. მესამე მეოთხედში მან დინამოელებს ორჯერ მოჰპარა ბურთი და გარღვევები მოაწყო, სხვა ქულებიც მიითვალა (სულ მესამე მეოთხედში 12 ქულა გააკეთა) და „ბასკოს" სული მოუბრუნა. როცა მან სამქულიან ხაზზე თავისუფალი წოწელია იპოვა და ამანაც ჩააგდო, „ბასკომ" 14 ქულამდე შეამცირა სხვაობა, მატჩიც ოდნავ დაიძაბა.

მაგრამ მთლიანობაში ყველაფერი აქ დამთავრდა. „დინამომ" უფრო ახლოს აღარ მოუშვა მეტოქე და მესამე მეოთხედი 16-ქულიანი უპირატესობით დაასრულა. ბოლო 10-წუთეულის დასაწყისში დინამოელმა თორთლაძემ სამქულიანიც ჩააგდო და 19 ქულით მოწყვეტილ მასპინძლებს პრაქტიკულად გაუხადა გამარჯვება.

**ირაკლი ფირაშვილი**



ირაკლი ხოშტარიამ „ბასკოს" საკმაო პრობლემები გაუჩინა

## მატჩის შემდეგ

ნამატჩევს „ბასკოს" მთავარი მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი, ცხადია უხასიათოდ იყო და როდესაც მატჩის შეფასება ვთხოვეთ, ესლა გვითხრა: „რა კომენტარი უნდა გავაკეთო? ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. დაითვალეთ რამდენჯერ დავჯარიმდით პირველ ტაიმში. მსაჯებს არაფერს ვაბრალებ, ყველაფერი ჩემი ბრალია, ვერ შევძელი ბიჭების მობილიზება და სწორი ტაქტიკის შერჩევა. ეს არის და ეს."

„დინამოს" ბანაკში კი სულ სხვა ატმოსფერო სუფევდა. დინამოელთა მთავარი მწვრთნელის, დრაჟენ ბრაიკოვიჩის მარჯვენა ხელი ზურაბ ტომარაძე მნიშვნელოვან გამარჯვებას აღნიშნავდა და არც კომენტარზე დაგვზარდა: „პირველი, წაგებული მატჩი ღრმად გავაანალიზეთ. ბრაიკოვიჩმა რამდენიმე საათში დიდი სამუშაო ჩაატარა და დღეს სულ სხვა „დინამო" თამაშობდა. რაც მთავარია, შევძელით ბიჭების ფსიქოლოგიურად მომზადება. ვფიქრობ, დღეს ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა მოგვაგებინა. გარდა ამისა, წაგვივიდა სამქულიანი სროლები და სათადარიგოებმაც კარგად ითამაშეს. ახლა ბათუმში ორი ძალიან დაძაბული და მნიშვნელოვანი მატჩი გველის. „დინამოს" პროგრამა-მინიმუმი ერთი მატჩის მოგებაა. ცხადია, არც მაქსიმალურ შედეგზე ვიტყვით უარს. ვფიქრობ, ფინალურ სერიაში ხუთივე მატჩის ჩატარება გახდება საჭირო. პლეი ოფის ეშხიც ხომ ესაა — ბოლომდე და უშეღავათო ბრძოლა."



ნუგზარ კანდელაკი



ზურაბ ტომარაძე

# სათუთი საკითხი მძაფრი ვნებებით

## მარხვაშვილი: ჭეიშვილის ხელში, როგორც კალათბურთელი, მოვკვდები



მწვრთნელთან წალაპარაკებული გიორგი მარხვაშვილი თანაგუნდელებმა ძლივს დააშვიდეს

## ჭეიშვილი: მე აქ ბავშვებს ვერ გავზრდი

*სამი დღის წინანდელი ამბავია: საქართველოს ჩემპიონატის მესამე ადგილისთვის სერიის პირველი მატჩში განხეთქილება მოხდა სტუ-ს 18 წლის მოთამაშე გიორგი მარხვაშვილსა და გუნდის მთავარ მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილს შორის.*

*მეორე ტაიმის დებიუტში ნუგზარ ჭეიშვილმა მარხვაშვილს მოედანზე შენიშვნა მისცა, რაზეც მარხვაშვილმა უკმეხად უპასუხა. მათი დიალოგი მალე შელაპარაკებაში გადაიზარდა და შეგირდმა გვარიანად გამოლანძღა დამრიგებელი. ინციდენტი იმით დასრულდა, რომ ერთ-ერთმა თანაგუნდელმა აღელვებული მარხვაშვილი პირზე ხელებაფარებული გაიყვანა მოედნიდან.*

*ამ ამბიდან სამი დღე გავიდა და მარხვაშვილმაც და ჭეიშვილმაც პირველი კომენტარები გააკეთეს*

**გიორგი მარხვაშვილი:** „სეზონის წინ შემეძლო ბათუმის „ბასკოში" ან თსუ-ში გადასვლა, მაგრამ სტუ-ში დავრჩი. სანამ ჩემპიონატი დაიწყებოდა, გუნდის უფროსობას და ჭეიშვილს შევხვდი და დამპირდნენ, რომ ყოველ მატჩში დაახლოებით 30 წუთს მათამაშებდნენ, მაგრამ დაპირება არ შეასრულეს. ჭეიშვილი ორ-სამ წუთს თუ იმეტებს, რაც საკმარისი არ მყოფნის ჩემი შესაძლებლობების დასამტკიცებლად. ამბობს, რომ კოტე ტულუში ჩემზე ძლიერია. მე და კოტე ბავშვობის მეგობრები ვართ და არ მინდა, ჭეიშვილის გამო ჩვენს მეგობრობას ჩრდილი მივაყენო. მაგრამ ჭეიშვილი მაშინ მათამაშებს, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილია. ამას კი იმიტომ აკეთებს, რომ თუ წავაგეთ, მე დამბრალდეს ყველაფერი. „აზოტთან" მატჩში უსაფუძვლო შენიშვნა მომცა, ველარ მოვითმინე, ემოციური პიროვნება ვარ და ნერვები ველარ მოვთოკე. გადავწყვიტე გუნდიდან წავიდე, თორემ ჭეიშვილის ხელში, როგორც კალათბურთელი, მოვკვდები."

**ნუგზარ ჭეიშვილი:** „გიორგის ბავშვობიდან ვიცნობ. კადეტთა ნაკრებშიც მყავდა და ევროპის ჩემპიონატზეც წავიყვანე. პირადად მასთან არაფერი მაქვს საპრეტენზიო. სეზონის წინ გიორგიმ კლუბის უფროსობასთან შეხვედრისას თქვა, რომ თამაში უნდა. ვუთხარი, დაამტკიცე, რომ ხუთეულის ღირსი ხარ და ითამაშებ-მეთქი. ვერ ვიხსენებ, რომ წუთების კონკრეტულ რაოდენობას დავპირდი. ჩემი აზრით, ტულუში დღეს მარხვაშვილზე ობიექტურად ძლიერია და გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ის არის ძირითადი გამთამაშებელი. სტუ ჩამოყალიბებული, საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი კლუბია და მე აქ ვერ დავიწყებ ბავშვების გაზრდას. „აზოტთან" მატჩის წინა დღეს გიორგის არ უვარჯიშია, ნასიცხარი იყო. ამიტომ არ ვათამაშე დიდხანს, მან კი ისე გაიგო, თითქოს ამოჩემებული მყავს. მსგავსი გულშიც არ გამივლია. თუ მან გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა, ეს მისი საქმეა. ისე კი, კონტრაქტით ჯერ კიდევ ერთი წელი სტუ-ს ეკუთვნის.

გიორგი კლუბის უფროსობას უნდა დაელაპარაკოს. თუ დარჩება, მასთან ჩვეულებრივ გავაგრძელებ მუშაობას, როგორც მწვრთნელი კალათბურთელთან."



ნუგზარ ჭეიშვილს მარხვაშვილთან სადავო არაფერი აქვს

**ბაჩო სვანიძე**

NBA PLAY OFF კონფერენციის ფინალი

# მსაჯო, შე პედანტო!

21 მაისი

## სან ანტონიო 1:1 დალასი

### სან ანტონიო 119:106 დალასი

**სან ანტონიო:** პარკერი (19), ჯეკსონი (17), ბოუენი (6), დანკანი (32 ქულა, 15 მოხსნა), რობინსონი (7); როუზი (25), ჯინობილი (7), კლაქსტონი (6), ფერი, ვილისი

**დალასი:** ნეში (12), ბელი (6), ფინლი (29 ქულა, 10 მოხსნა), ნოვიცკი (23 ქულა, 10 მოხსნა), ბრედლი; ლაფრენცი (15), ვან ექსელი (13), უილიამსი (8), გრიფინი




ტიმ დანკანი — „დალასის" რისხვა

REUTERS სან ანტონიოდან

შესანიშნავი გუნდები არიან „დალასიცა" და „სან ანტონიოც", შემადგენლობაც ვარსკვლავებით მოუჭედიათ და მაყურებელსაც მეტი რა უნდა. სამუშაოდან შინ მისული მშვიდობიანი ამერიკელი მოკალათდება სავარძელში და დატკბება ამათი ცქერით, მაგრამ სრულ ნეტარებამდე ჯერ შორია. დასავლეთის ფინალის ცქერას სიტკბოს გარდა არცთუ სასიამო შეგრძნებაც ახლავს. საუბარია მსაჯებზე, რომლებიც კადრში ნოვიცკიზე და დანკანზე ხშირად ჩანან.

სერიის პირველი ორი თამაში სასტვენმა წაიღო. საზოგადოდ, ნბა-ს მსაჯების თვითმიზანი არაა თამაშში ყოველწამიერი ჩარევა. ბევრი მათგანი ცდილობს, მოთამაშეებს ხელი არ შეუშალოს ძალისმიერ, ჯარიმის ზღვარზე თამაშში, მაგრამ ყველა ასეთი როდია. მაგალითად, ამ სერიის პირველი მატჩის ერთ-ერთი არბიტრთაგან გახლდათ თავისი პედანტობით განთქმული დიკ ბავეტა, რომელმაც ლომის წილი დაიდო 48-წუთიანი მატჩის სამ საათამდე გაწელვაში და ორივე გუნდის მოთამაშეებს უხვად ჩამოურიგა პერსონალურები. ძირითადად მის გამო „დალასმა" თამაშში 50 საჯარიმო ისროლა, „სან ანტონიომ" — 46.

დიკ ბავეტა ამ შეხვედრასაც სჯიდა და ჩვეული აქტიურობითაც, თუმც მას „ქუდისამწევიც" გამოუჩნდა. ჯო კროუფორდმა ტოლი არ დაუდო კოლეგას და მოედანზე მორბენალი ბიჭებისთვის დაუნანებლად გასცა, როგორც ჩვეულებრივი პერსონალურები, ასევე ტექნიკური ჯარიმები.

მსაჯებმა ამ ჯერზე „დალასი" უფრო „აზარალეს". „სან ანტონიომ" თავიდანვე აკრიფა ქულები, ხოლო მისმა მეტოქემ — საჯარიმოები. დალასელთა ლიდერმა, წინა მატჩში 17-დან 17 საჯარიმოს ჩამგდებმა დირკ ნოვიცკიმ პირველივე წუთებში ორი პერსონალური მიიღო და მსაჯს ჯო კროუფორდს იმდენად ხმამაღლა მიმართა, რომ მას საკალათბურთო „ყვითელი ბარათის" ამოღება მოუხდა. ნოვიცკიმ ტექნიკური მიიღო და დაწყნარდა, მაგრამ სამაგიეროდ, ალელდა მისი მწვრთნელი დონ ნელსონი, რისთვის მიჯარიმებ საუკეთესო მოთამაშესო. კროუფორდმა ბევრი არ აყვირა, ორმაგი ტექნიკური უბოძა და მოედნის მისადგომებიდან გააგდო ეს ლირსეული მიაკაცი.

„დალასის" თავკაცობა დონ ნელსონისაგან გადაიბარა მისმა ვაჟმა დონი ნელსონმა, რომელსაც აგრეთვე რიგიანი მწვრთნელის სახელი აქვს და სახელგავარდნილ მამას ასაკით თუ ჩამოუვარდება. დონიმ პირველ ტაიმში ვერაფერი უსაშველა „მავერიკსს", მისმა გუნდმა პირველი მეოთხედი 11 ქულით, მეორე კი 14-ით დათმო და ერთი ხანობა 28 ქულითაც ჩამორჩა „სან ანტონიოს", მაგრამ მეორე ნახევარში უმცროსი ნელსონის მცდელობამ რაღაც შედეგი გამოიღო. „დალასი" მოერია თავს და თითქმის შეძლო, მეტოქისთვის სასურველი სწრაფი ტემპის მოხვევა, მაგრამ, წინა მატჩისგან განსხვავებით, სრულად ვერ დაძლია დეფიციტი, რომელიც ამჯერად გაცილებით ღრმა იყო.

„სან ანტონიომ" ძალიან ახლოს არ მიუშვა მდევარი და ამაში მსაჯებიც დაეხმარნენ, რომლებიც ფარქვეშ ყოველ ჩვეულებრივ ჯაჯგურზე თამაშს აჩერებდნენ. ფარქვეშ კი „სან ანტონიოს" უფრო დიდი ძალები ჰყავს დისლოცირებული. ამდენად ლუნე, პოზიციურმა თამაშმა მის წისქვილზე დაასხა წყალი. მასპინძლებმა 45 საჯარიმო ესროლეს, აქედან 38 ჩააგდეს „დალასი" კი ამ ჯერზე მსაჯებმა „მხოლოდ" 22 საჯარიმოს დააჯერეს (20 ჩაგდება). 13 საჯარიმო ესროლა (10 ჩააგდო) „სან ანტონიოს" ლიდერმა ტიმ დანკანმა, „სფურზის" სათადარიგო თავდამსხმელმა მალიქ როუზმა კი თუმც მხოლოდ 27 წუთი ითამაშა, 18 საჯარიმოს სროლის უფლება მოიპოვა და აქედან 15 გამოიყენა.

ამ მოგებით „სან ანტონიომ" სერიაში ანგარიში გაათანაბრა. მომდევნო ორ თამაშს „დალასი" უმასპინძლებს.

**ძოტე ყორშია**




დირკ ნოვიცკი და მისიანები მსაჯებმა გვარიანად აზარალეს

REUTERS სან ანტონიოდან



# პატარა ფული და გარონიება გაროსამდე



ენდი როდიკი



რიხარდ კრაიჩეკი

**INTERNATIONALER RAIFFEISEN GRAND PRIX**

**ზანკტ პიოლტენი. თიხნარი**

**საპრიზო 380 ათასი ევრო**

### პირველი წრე

**ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — იან ვაინცირლი (გერმანია) 6:4, 4:6, 6:4; ენდი როდიკი (1, აშშ) — ალბერტო მარტინი (11, ესპანეთი) 6:1, 7:6 (7:5); ალბერტ კოსტა (2, ესპანეთი) — ნედან ზიმონიჩი (სერბეთი) 6:7 (4:7), 6:1, 6:3; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — ტაილორ დენტი (4, აშშ) 2:6, 7:6 (7:3), 6:4; რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 7:5, 3:6, 6:3; ნიკოლაი დავიდენკო (6, რუსეთი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:4, 6:2; მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) — კაროლ კუჩერა (7, სლოვაკეთი) 6:2, 6:1**

### მეორე წრე

**ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) — ლაბაძე 6:1, 6:1; . როდიკი — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:3, 6:4; ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) — კოსტა 6:4, 2:6, 6:2; დავიდენკო — ლი ჰიუნგ-ტაიკი 6:4, 6:3; ვერკერკი — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 7:5; დავიდ სანჩესი (8, ესპანეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:4, 6:4; კრაიჩეკი — ბრაიან ვაალი (აშშ) 6:2, 2:6, 6:3**

ზანკტ პიოლტენი ავსტრიის უძველესი ქალაქია — ის ჯერ კიდევ მაშინ დაარსდა, ბნელი რომ იყო ხალხი. ახლა იქ ხალხი ბნელი აღარ არის და საქმე ისე მოიწყო, კაცთა როლანგაროსობისწინა ტურნირსაც მასპინძლობს.

ზეპურ მეჩოგნეთაგან ტურნირს მხოლოდ თითო-ოროლანი ეწვივნენ და მათგან სეფექოგანი ამერიკელ ენდი როდიკს ერგო. როდიკმა, ვინაც წლეულს ევროკლიმატსა და ევრონიადაგს ეგრეც ვერ შეეგუა, გადაწყვიტა, საფრანგეთის ღია პირველობისთვის ამ ისე-რა ტურნირზე მაინც მოთელილიყო.

თუკი მის საპირველწრეებო შეხვედრებს შევხედავთ, ენდიბოის ანგარიში არ შეშლია — ალბერტო მარტინსა და ვინმე კოლშრაიბერის სეტისწაუგებლად ძლევამ მას თვითრწმენაც გაუმყარა და თიხასთანაც გააჩვია.

ოღონდ ბუშლამ მას 1996 წლის უიმბლდონსანსა და 17-გზის მეტიტულე ჰოლანდიელ რიხარდ კრაიჩეკთან უნდა ებუღრავა. 31 წლის დაჩაკცმა მესამე წრემდე ორი ამერიკელი (გემბილი და ვაალი) უკვე დაიქნია და იმის ალბათობა, რომ მესამეც მიეყოლებინა, არც ისე პატარა იყო. იყო, მაგრამ ამ საქმიდან კრაიჩეკს არაფერი გამოუვიდა: პირველ სეტში როდიკს ნაღდად გაედავა — 5:7 წააგო, აი, მეორეში კი ხელები, გინდა, ასწია ვთქვათ, გინდა, დაუშვა და ენდიბიჭმა 6:1 მოიგო.

შეგახსენებთ, რომ 21 წლის როდიკს კარიერის განმავლობაში 5 ტიტული მოუნაგრავს და ხუთივე მშობლიურ კორტებზე. წლეულს მისი უმთავრესი მიღწევა ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გასვლა იყო, რის მერეც ერთ ბობოლა ტურნირზეც ველარ გაიბრწყინა.

ამასობაში დაჩოგნეს შარშანდელი როლანგაროსოსანი ალ კოსტა, ვისაც იმ დღეს — წინა დღეს მოშხაპუნებული წვიმის გამო — ერთბაშად ორი მატჩის გამართვა მოუხდა. თუკი კოსტამ უსახელო ხორვატ ზიმონიჩს საქმე უდრტვინველად მოუყომარა, მძლავრად მოგლაჯუნე დიუპუისთან მოგვიანებით ველარაფერი გააწყო.

კოსტამ წლეულს 12 თიხნარმატჩი გამართა და შვიდჯერ გამარჯვების წილ ხუთჯერ დამარცხდა. ასეთი ბალანსით სეფეთიხნარზე გასვლა, მით უფრო, როცა იქ ტიტულის დაცვას ეშურები, ჭეშმარიტად ძლღუმაღური საქმე უნდა იყოს.

დასასრულ ირაკლი ლაბაძისაც ვთქვათ. ჩვენიანმა პირველ წრეში უსახელო გერმანელ ვაინციერლს სძლია, მაგრამ მეორეში ისე-რა ბრაზილიელ ფლავიუ სარეტასთან დამარცხდა.

ეგ იყო და ეგ. ტურნირის გამარჯვებულს კი — მერე რომ არ დაგვავიწყდეს — 44 827 დოლარი ეფეშქაშება.

## მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი დიუსელდორფი

**თიხნარი. საპრიზო 1,85 მილიონი ევრო**

### ლურჯი ჯგუფი

### არგენტინა — გერმანია 3:0

**დავიდ ნალბანდიანი — რაინერ შიუტლერი 6:4, 7:5; გასტონ გაუდიო — ტომას ბერენდი 6:2, 6:4; ნალბანდიანი, ლუკას არნოლდი — ლარს ბიურგსმიულერი, მიხაელ კოლმანი 6:2, 0:6, 6:2**

### ჩილე — შვედეთი 3:0

**ნიკოლას მასუ — ტომას ენკვისტი 6:2, 6:3; ფერნანდო გონსალესი — მაგნუს ნორმანი 6:2, 6:3; მასუ, გონსალესი — ნორმანი, იონას ბიორკმანი 6:4, 6:2**

# იბეროამერიკამ ევროპა დაალურჯა

ესეც ასე:

სამხრეთამერიკულმა გუნდებმა — არგენტინამ და ჩილემ თავიანთი მორიგი გამარჯვებები მიითვალეს. ჯგუფის გადამწყვეტ მატჩში ისინი დღეს ერთმანეთს შეეხლებიან და სწორედ იქ გაირკვევა, რომელი მათგანი ითამაშებს ხვალინდელ ფინალში.

შარშანდელ ჩემპიონთა შორის რიგიანად ბურთაობენ ნალბანდიანი, ვინაც მასპინძელთა ნაგრიპალ ყოჩ შიუტლერს სძლია, და წლეულს უკვე სამ ნახევარფინალში ნაპაექრები გასტონ გაუდიო, რომელმაც წინა ტურში ჩილელი მარსელო რიოსის მძლეველი ტომას ბერენდი მოთელა.

რიოსს მეორე ტურში აღარ უთამაშია. მისი საქმე გონსალესმა და მასუმ გააკეთეს.

**ლევან ძელაურაძე**




ლუკას არნოლდი და დავიდ ნალბანდიანი

## NHL სტენლის თასი

### კონფერენციის ფინალი ოთხ მოგებამდე

21 მაისი

### აღმოსავლეთი

### ოტავა 3:3 ნიუ ჯერსი

**ნიუ ჯერსი 1:2 ოტავა** *0:0 0:1 1:0 0:1*

0:1 ბონკი (38), 1:1 ნუინდაიკი (43), 1:2 ფილიპსი (76)

# წესი № რომელიც გინდა: არ ივარჯიშო ცოლისდასთან ქალის ნაბზენი



მარტინ ბროდო: კაცი გიჟსა ჰგავს

**ნიუ ჯერსის** მეკარე მარტინ ბროდოს ხშირად ადარებენ კედელს. როცა იგი კარგ გუნებაზეა, მისი „განგრევა“ უაღრესად რთული საქმეა, მაგრამ ბოლო ორი მატჩია, უგუნებობა ეტყობა გოლკიპერს, რაც მის თამაშს აშკარად დაეტყო. არა, სუსტად არ გამოიყურება, მის დონეს ამ მდგომარეობაშიც ბევრი ინატრებდა, თუმც მაინც არ არის ის ბროდო. ბოლო მატჩებში მინიმუმ ერთი შაიბა მაინც იყო მის სინდისზე.

ერთ-ერთ ეპიზოდში (ნიუ ჯერსი იმ წუთებში უმცირესობაში იყო) შაიბა მეკარეს რომ მიუვიდა, მან ყველაზე სარისკო ვარიანტი აირჩია — რეზინის დისკი ბორტისკენ კი არ მოისროლა, მისი ზონიდან გადაგდება მოინდომა. ოტაველებმა კი ჩაჭრეს შაიბა, სწრაფი კომბინაციის შემდეგ იგი რადეკ ბონკმა მიიღო და ბროდოს ფეხებს შუა გაუტანა. გადამწყვეტ შაიბასაც სხვა დროს ალბათ მოიგერიებდა მარტინი, ვინაიდან კრის ფილიპსის დარტყმა ზუსტი კი იყო, მაგრამ არცთუ ძლიერი... შაიბა კი მაინც აღმოჩნდა კარში და სერიაში ანგარიში გათანაბრდა. მომდევნო, მეშვიდე თამაში ოტავაში გაიმართება.

...მარტინ ბროდოს უგუნებობის მიზეზი მისი ოჯახური პრობლემები ყოფილა. იგი თურმე ცოლს, მელანის, მისსავე ნახევარდასთან, ჟენევიევასთან ღალატობდა. თავიდან მელანიმ საკმაოდ მშვიდად მიიღო ეს ფაქტი, მაგრამ ახლა მეუღლესთან გაყრა გადაწყვიტა, რაც ბროდოსთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მეტიც, მელანი თურმე ყოველი მატჩის წინ ურეკავს მარტინს და ატყობინებს, ვისთან მიდის პაემანზე. ასე რომ, ბროდოს, ოთხი შვილის მამას, განსაცდელის ჟამი უდგას და ეს მართლაც რომ კედელივით მტკიცე კაცი ბოლომდე ვერ უმკლავდება ემოციებს.

ნიუ ჯერსის ზედიზედ მეორე მარცხს მთლად ბროდოსაც ნუ გადავაბრალებთ. ოტავას რომ არ მოეგო, ცოდვა იქნებოდა. ეგებ აშკარა საგოლე მომენტებით „სენატორებმა“ ბევრად ვერ აჯობეს მეტოქეს, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ. ასეთი თავგზააბნეული ნიუ ჯერსი ამ პლეი ოფში არ გვინახავს. სტუმართა აქტიურმა პრესინგმა ნიუჯერსელები აშკარად აანერვიულა და დააბნია. ამიტომ ოტავას ჯერ კიდევ ძირითად დროში უნდა მოეთავებინა საქმე, თუმც ოვერტაიმი მაინც დასჭირდა. აქ კი მასპინძლებმა დროებით ხელთ იგდეს ინიციატივა და ლამის თავისი გაიტანეს. სტუმრები რამდენჯერმე მეკარე პატრიკ ლალიმმა იხსნა, საბოლოოდაც ყველაფერი მათ სასიკეთოდ დასრულდა.

დღეს ოტავა შეეცდება, ამ პლეი ოფში მესამე გუნდი გახდეს, რომელიც სერიაში 1:3 აგებდა და ბოლოს გამარჯვება მოახერხა. „რაც მთავარია, მნშვიდე შეხვედრას შინ ვატარებთ და ეს კარგი ნიშანია“ — თქვა მატჩის შემდეგ ოტაველთა ლიდერმა მარიან ჰოსამ, რომელიც, მიუხედავად წინა თამაშში მიღებული ტრავმისა, გავიდა ყინულზე და 2 პასიც მიითვალა.

თუ ნიუ ჯერსიმ მოიგო, იგი ბოლო 4 წლის განმავლობაში მესამედ ითამაშებს თასის ფინალში. „ჩვენ კარგი გუნდი ვართ და ეს კრიტიკულ სიტუაციაში არაერთხელ დაგვიმტკიცებია. ახლა ყველა ოტავას ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას გავიტანთ“ — არანაკლებ თავდაჯერებულია ნიუჯერსელი ჯონ მედენიც.

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS ისტ რეზერფორდიდან

ნიუჯერსელ ჯონ ნიუნდაიკს ოტაველი პატრიკ ლალიმისა შეეშინდა და ვერ გაიტანა


სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49


# ვილაც არიფი ჰაშეკს დაეჯახა, ჰაშეკმაც დაააჯახა...

**დომინიკ ჰაშეკს** ორშაბათს მეტოქე შემოელახა, რაზეც საქმეც კი აღიძრა. უთუოდ გაგიკვირდებათ და ამ ფაქტს ვერაფრით დაუკავშირებთ დიადი მეკარის სახელს, რადგან იცით, რომ „დომინატორმა“ შარშან დაასრულა ნჰლ-ში კარიერა. დიახ, ასეა, მაგრამ მან სპორტს ბოლომდე არ დაანება თავი და დროდადრო მონაწილეობს ხოლმე სპორტულ შეჯიბრებებში. ორშაბათს მის მშობლიურ ქალაქ პარდუბიცეში გორგოლაჭებიანი ჰოკეის მატჩი ჩატარდა, რომელშიც დიად მეკარეს თავისი ადგილი ეკავა. და როცა ერთ-ერთ ეპიზოდში მას ვინმე მარტინ სილა დაეჯახა, ჰაშეკს ნერვებმა უმტყუნა და გაშმაგებული დაემგერა საბრალო მეტოქეს. მან წინააღმდეგობა ვერ გაუწია ყოფილ ნჰლ-ელს და ერთი-ორი დარტყმის შემდეგ გონება დაკარგა. ერთი სიტყვით, საბრალო სილა საავადმყოფოში აღმოჩნდა. ჰაშეკის საქციელს ჯერ ამ სახეობის ადგილობრივი ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს, შემდეგ კი იქნებ პოლიციაც ჩაერიოს. თავად ჰაშეკმა დიდი სინანული გამოთქვა მომხდარის გამო და ისურვა, რომ სილა რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელდეს. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ „დომინატორს“ ნჰლ-შიც საკმაოდ ემოციური და ფეთქებადი კაცის სახელი



დომინიკ ჰაშეკი

ჰქონდა დაგდებული, რამდენჯერ ყოფილა, რომ მეტოქეებს წესების მცირე, შეუმჩნეველი დარღვევით გაუფიცხებიათ იგი და ამით უსარგებლიათ კიდეც. ამას ისინი განზრახ აკეთებდნენ და ჰაშეკიც იოლად ეგებოდა ამ ანკესზე. დომინიკის და პატრიკ რუას შეხლა-შემოხლაც გვახსოვს, თუმც მაშინ ისინი მალე დაშოშმინდნენ.

**სამველ ღარიბიანი**

## ველორბოლა

### ჯირო დიტალია 10 მაისი - 1 ივნისი



ოსკარ მეისონი



REUTERS სან დონა დი პიავედან

მარიო ჩიპოლინი

# ჯირო ტურის ველოსიპედია

**ჯიროს მე-11 ეტაპი** ფატალური გამოდგა რამდენიმე ველომრბოლისთვის. ფაენცადან სან დონა დი პიავემდე გასარბოლი 226 კილომეტრის ბოლო, 150-მეტრიან მონაკვეთზე დიდი ავარია მოხდა და რამდენიმე მრბოლი დაშავდა. დაზარალებულთაგან ყველაზე ცნობილი 36 წლის იტალიელი მსოფლიოს ჩემპიონი მარიო ჩიპოლინია, რომელმაც ამ ორიოდ დღის წინ უნიკალური რეკორდი დაამყარა — ჯიროს 42-ე ეტაპის მოგება შეძლო. ჩიპოლინიმ მხარი და ნეკნები დაიშავა, როდესაც ჯერ ესპანელ ისაკ გალვესს შეეჯახა, მერე კი გზის ჯებირს. იტალიელი ჰოსპიტალში გააქანეს, იქ კი ითქვა, რომ „სუპერმარიოს“ ტრავმა სერიოზული არაა, მაგრამ მისი გუნდის „დომინი ვაკანცეს“ ექიმმა მრბოლს დასვენება ურჩია. რას გადაწყვეტს ჩიპოლინი, ამას მალე შევიტყობთ, მანამდე კი იგი სადღეისო ეტაპს გამოტოვებს. ავარია წვიმის ბრალია, სველ ტრასაზე ერთ-ერთ მრბოლს ველო მოუსრიალდა და პელოტონი აიზილა.

თავად ეტაპი შეუპოვარმა ავსტრალიელმა, რობი მაკივენმა მოიგო. მაკივენი, ვინც ჯიროს მე-2 ეტაპისას სტეფანო ბარტოლოს ლამის კედელზე მინარცხებისთვის დასაჯეს (მანამდე მონაგრული ყველა ქულა ჩამოართვეს), ამჯერზე „მოერიდა“ ავარიას და ტრასაზე გაფენილ მრბოლებს მოხდენილად ჩაუსლალომა. სხვათა შორის, იტალიელი ოსკარ მეისონი ტრასიდან თხრილში გადაიჩეხა და საკმაოდ სერიოზულად დაშავდა.

ნარბოლევს გამარჯვებულმა მაკივენმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ წლეულს ჯიროს ორი ეტაპის მოგება შევძელი, მაგრამ მეთორმეტე ეტაპის შემდეგ შინ მივდივარ. ვგრძნობ, რომ უნდა დავისვენო და ენერგია ტურ დე ფრანსისთვის შემოვინახო“.

გავრცელდა ხმები, რომ ავსტრალიელის დარად სხვა ცნობილი მრბოლებიც აპირებენ ჯიროს მიტოვებას და ტურ დე ფრანსისთვის კუნთების მოღუნებას, ოღონდ მათი ვინაობა ჯერჯერობით არ ცხადდება.

**ბაჩო სვანიძე**



REUTERS სან დონა დი პიავედან

რობი მაკივენი

### ტექნიკური შედეგები

**მე-11 ეტაპი. 21 მაისი**

**ფაენცა — სან დონა დი პიავე 226 კმ**

1 რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) 5სთ 44წთ 13წმ
2 ალესანდრო პეტაჩი (იტალია, ფასა ბორტოლო) იგივე დრო
3 კრეზენკო დამორე (იტალია, ტენაქსი) იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1 ჯილბერტო სიმონი (იტალია, საეკო) 52სთ 10წთ 8წმ
2 სტეფანო გარძელი (იტალია, ვინი კარდიროლა) -2წმ
3 ანდრეა ნოე (იტალია, ალესიო) -56წმ

# პარიზს უნდა









REUTERS პარიზიდან

პარიზის მერმა, ბერტრან დელანომ დიდი ზარ-ზეიმითა და იმედით წარადგინა თავისი ქალაქი 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის კანდიდატ-მასპინძლად. სავანგებო ლოგოც მეტად ლამაზი იყო და წარდგენასაც მრავალი ცნობილი ვინმე ესწრებოდა: ვთქვათ, სარაგბო გუნდი „სტად ფრანსეზი", ანდა კინოს ვარსკვლავი ჟან პოლ ბელმონდო. პარიზმა უკვე ორჯერ წააგო ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლა, 1992 წლისა და 2008 წლის წილისყრების დროს. 2012 წლისთვის კი იგი შეებრძოლება ნიუ იორკს, მადრიდს, ლონდონს, ლაიფციგსა და ჰავანას.

# ნამდვილი და ცვილი

ფრანგი ჩოგბურთელი ამელი მორესმო თავის ცვილის ფიგურასთან დგას პარიზის ბრევინ ვოს მუზეუმში. იმ კვირაში როლან გაროსის საჩოგბურთო ტურნირი იწყება, თქვენ კი ალბათ მაინც ამოიცნობთ ამ ორს შორის ნამდვილ მორესმოს.



REUTERS პარიზიდან

# სტრიკერი




REUTERS სტამბოლიდან

ამ ჯეელმა ყველას დაამახსოვრა თავი, როცა უეფას თასის ფინალური მატჩის მეორე ტაიმის წინ მინდორზე შეიპარა, მსაჯის ტანისამოსი უცებ შემოიძარცვა და დედიშობილა დარჩა. ახირებულ სტრიკერს ზურგზე ერთ-ერთი ლასვეგასური კაზინოს ინტერნეტ მისამართი ეწერა და ვინ იცის, ეგებ თავი რეკლამისთვისაც კი გაწირა.

# დადუმებულა მარაკანა

რიო დე ჟანეიროში, „მარაკანას" სტადიონის წინ სიმყუდროვეა. ბრაზილიური კლუბები გაიფიცნენ და საერთობრაზილიური ჩემპიონატი შეაჩერეს. ეს არის პასუხი ახალ საფეხბურთო კანონპროექტზე, რომელიც სტადიონზე გულშემატკივრის მოხვედრას ართულებს. მთავრობას კარგახანია უნდა, რომ სტადიონებზე თანამედროვე უსაფრთხოების სისტემები გამართოს, ებრძოლოს ძალადობას და ბილეთების უწესრიგო გაყიდვას. კლუბებს კი მიაჩნიათ, რომ ასეთი კანონი მაყურებელთა ოდენობას შეამცირებს და შემოსავალსაც დასცემს.



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჩ[illegible] [illegible]გი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge